# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 2013 წელი.

№179 (7306)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყვეფა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ქართველები და სამხრეთოსეთელები ტერიტორიის გამო ერთმანეთის წინააღმდეგ

8

## მელნიკოვს საქართველოში უახლოეს პერიოდში ჩამოიყვანენ

3

## ქართული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ

4

## განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედება

6

## მეცხოველეობა უსაკოვრებოდ ვერ განვითარდება

7

## „ბომბის ამბები რომ ჩამთავრდება, თელასი დენის გათიშვებს დაიწყებს საათობით, საღამოს საათებში. დავალება აქვთ ნაცებისგან“...

2

## ახალმოსახლეობა ისანში

3

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ბრიფინგი

# პრეზიდენტის და მისი დამქაშების თქმით კი — არაფერი კეთდებაო!

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა გასული ორი თვის მუშაობის შედეგები შეაჯამა. დავით ნარმანიამ გუშინ პრესკონფერენცია „მთავრობა ღია მმართველობისთვის“ პროგრამის ფარგლებში გამართა.**

**მინისტრის თქმით, ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საქართველოს რეგიონებისთვის დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს. მთლიანობაში კი აღნიშნული პროგრამების საერთო ღირებულება 270 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. ორივე პროექტის ფარგლებში 8 ათასამდე საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.**

ნარმანიას განცხადებით, საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის დამტკიცდა შეთანხმება, რომელიც 25 მუნიციპალიტეტსა და 3 დაბაში წყალმომარაგების სამუშაოებს ითვალისწინებს. ამისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 40 მილიონი ევროს დაფინანსებას მიიღებს, ხოლო პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებს. ამ ეტაპზე უკვე მზად არის ყველა ძირითადი პროექტი და ყველაზე პრობლემურ მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგების გასაუმჯობესებელი სამუშაოები მომდევნო წლიდან დაიწყება.

დავით ნარმანიამ ასევე დეტალურად ისაუბრა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შესახებ. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მთლიანობაში 692 პროექტი მიმდინარეობს, მეტი მუნიციპალური გზების მოწესრიგებას ხმარდება, 8 მილიონ ლარზე მეტი — ნაპირსამაგრ სამუშაოებს, ხიდების რეაბილიტაციას, წყალმომარაგების გაუმჯობესებას, სხვა ინფრასტრუქტურული საკითხების მოწესრიგებას 225 მილიონამდე ლარი მოხმარდება. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მინისტრის თქმით, პროგრამის ფარგლებში საქართველოს სოფლებმა 50 მილიონი ლარი მიიღეს. საქართველოს მასშტაბით დაფინანსებულია შვიდი ათასამდე პროექტი. პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა 2013 წლის სექტემბერის ბოლომდე დასრულდება.

დავით ნარმანია პრეზიდენტობის კანდიდატებს მოუწოდებს, წინასაარჩევნო კამპანია ცრუ ინფორმაციაზე არ ააგონ. მისი თქმით, გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები პერიოდულად ავრცელებენ ინფორმაციას სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის შეწყვეტისა თუ შეჩერების შესახებ და ამ ნეგატიურ კამპანიაში ჩართულია ზოგიერთი საპრეზიდენტო კანდიდატიც.

**„ძალიან ცუდია, რომ ეს კანდიდატები საარჩევნო კამპანიას არა საკუთარი პროგრამის მოსახლეობისთვის გაცნობის, არამედ, მსგავსი ცრუ ინფორმაციის გავრცელებაზე აგებენ. როგორც ჩანს, გარკვეულ მათგანს მოსახლეობისთვის სათქმელი არაფერი აქვთ.**

**ვინაიდან აღნიშნულმა ტენდენციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ოფიციალურად მიმართავს ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა, გამოიჩინონ მეტი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის წინაშე და უარი თქვან არასწორი ინფორმაციის გავრცელებაზე“,** — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, სპეციალურად პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის ტური ინფრასტრუქტურული პროექტების დასათვალიერებლად მომდევნო კვირისთვის იგეგმება.

**ინტერპრესი**

◎ ინფორმაცია

## წინა ხელისუფლების მიერ ფარულად მოპოვებული გადაღებები კრიმინალი იყო

**სამართლებრივ საკითხებში საქართველოს მთავრობის კონსულტანტის თომას ჰამერბერგის შეფასებით, წინა ხელისუფლების მიერ ფარულად მოპოვებული გადაღებები კრიმინალი იყო. „ეს გადაღებები იყო კრიმინალი, ამ ჩანაწერების გაკეთება იყო დანაშაული, ის ადამიანები, ვინც ამას აკეთებდნენ, ძალიან დიდ დანაშაულს ჩადიოდნენ“, — ამის შესახებ თომას ჰამერბერგმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.**

— მნიშვნელოვანი იყო ამ ჩანაწერების სწრაფად განადგურება, რომ დაცული ყოფილიყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ამ კადრებში იყვნენ ასახული. თუმცა, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ სიჩქარეში არ უნდა განადგურებულიყო კადრები, რომლებიც გამოააშკარავებდა, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან, — აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

მისივე შეფასებით, საბოლოო ჯამში ყველა უკანონო ფარული ჩანაწერი უნდა განადგურდეს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც პირად ცხოვრებას არ ასახავს.

◎ ყველაფერი არის ძლიერ ცუდად!

## საკუთარი შვილებისგან მასხრად აგდებული ქვეყანა!..

**აბბა, სხვა რა შეიძლება დაერქვას მოქმედებას, რასაც ჩვენ ჩავდივართ, ამ ბოლო დროს, საკუთარ ქვეყანაში?! რეკავს ტელეფონი — „შენობაში ბომბია“! რეკავს ტელეფონი — „შენობაში ბომბია“! რეკავს ტელეფონი — „შენობაში ბომბია“!. გინდ დაიჯერე, გინდ არა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და უმალ იცლება შენობა, წყდება რადიო და ტელეგადაცემები, პარლამენტის სხდომები, ავადმყოფებთან ჩაცუცქული ექიმები გამორბიან შენობებიდან... ახლომახლო კი, ამის შემყურე, ვიღაც ზის და „კაიფობს“, სიცილით იჭაჭება, სიამოვნებისგან იგრიხება!.. ვაი, ჩვენს პატრონს! ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება ხდებოდეს, მხოლოდ „ფეხებზემკიდია“ ხალხს დაუჯდეს ჭკუაში! გამალებული დარბიან ძაღლებით სართულებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ეძებენ ბომბს... ვიღაც „კაიფობს“... რამდენიმე საათის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი „ბლეფია“.**

**ამ ბოლო დროს მოზარდებიც ჩართო ვიღაცამ „საქმეში“, ნურას უკაცრავად, ამათი დასჯა უკანონობაა!**

**კარგით ბატონო! ვიყოთ მაშინ ასე, ვაცინოთ ქვეყანა, გავამასხარებინოთ თავი შინაურსა თუ გარეშეს (მთელმა მსოფლიომ იცის უკვე, მთელი მსოფლიო იცინის უკვე საქართველოში გავრცელებულ „საკაიფო“ ფაქტებზე).**

**ღმერთმა ქნას და ეს ყოველივე, მართლაც შემთხვევითი ფაქტები იყოს და არა, ხალხში უკვე ნელ-ნელა გავრცელებული მითქმა-მოთქმა, „დაპირისპირებული მხარეები“ აკეთებენ ყველაფერსო. დაუჯერებელი რა არის? ამათ ოღონდ, ერთმანეთი ლანძღონ, ოღონდ ერთმანეთი „დაჭამონ“ და ქვეყნის ავტორიტეტს ვინ დაეძებს?! მიდით, აბა, მიდით!..**

**ხოლო, საქართველოს უძღები მტერი — „სიცილით კვდება ჯალალედინი!“**

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ ინტერნეტიდან

**„წინა ხელისუფლება ათეულობით მილიონ ლარს ხარჯავდა ბიუჯეტიდან საკუთარი საქმიანობის რეკლამაზე. მიშას ტელევიზიები ნაწილობრივ ასეც ფინანსდებოდნენ.**

**კითხვა: თანახმა ხართ თუ არა რომ ამ ხელისუფლებამაც იხადოს ესოდენ დიდი თქვენი ფული ესოდენ დიდი საკუთარი საქმეების ტელეპიარში“? — ეს შეკითხვა შალვა რამიშვილმა საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე დადო და აი, კომენტარებიც:**

„ყველაზე დიდი პიარი საქმის რეალური კეთებაა და ამას საზოგადოება უტელევიზიოდაც დაინახავს, თუ რამე გაკეთდება“.

„პიარი აუცილებელია“!

„რატომღაც მაინც წუწუნებენ ეს შუაშისტები: გუშინ მითხრეს, ერთი ბიზნესვუმანი „ოცნებამ“ „გაწეწაო“, რაც არ მჯერა. ამას კი უნდა გაპიარება“!

„უმადურებს, ტვინდაბლოკილებს პიარიც არ უშველის, ასე რომ, საქმეს მოახმარეთ“!

„პათოლოგიურად არა, მაგრამ რაღაცების გაპიარება აუცილებელია“

„ელემენტარული პიარის დეფიციტია“...

„მჯერა ბიძოსი და მხარს ვუჭერ! ისე მეც სული კბილებით მიჭირავს, რომ არ ამოვიდეს. ველოდები წინსვლებს“.

„წინა მთავრობის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ეგ იყო, პიარზე მუშაობდა ყველა, სამინისტრო პრეზიდენტიანად და რეალურად საქმეს არ აკეთებდნენ“...

„მე მომხრე ვარ, შენ მოგცენ მთელი ეგ მაყუთი პიარისთვის“...

„ვინ დაინახავს? მაისში ქართლში ტირიფონის არხი გამოუშვეს ცხინვალიდან... მთლიანი სარწყავი არხი აღადგინეს, 2008 წლის მერე რომ გადახმა მთელი ქართლი, მას შემდეგ პირველად მოირწყა ბაღ-ვენახები. არსად არ გაშუქებულა და არც ვინმესგან გამიგია. არადა, ქართლის არტერიაა. ასე რომ, კარგი საქმეები უნდა გაშუქდეს „ზოგ-ზოგებისთვის“...

„პიარის „ნაკლებობა“ არსებობს! სად არის ტვ... ქალები თურქულ სერიალზე არიან შემსხდარები, ვინც არ უყურებს — ტარელკაზე (რუსულ არხებზე)...

საქმეც ისაა, რო პიარი აუცილებელია ხალხის დასარაზმად რაღაც იდეის გარშემო, ნაცებს კარგად გამოსდიოდათ“...

„მე მგონი, ზოგს ტელეეკრანიდან ურჩევნია ზღაპრების მოსმენა“...

„ბომბის ამბები რომ ჩამთავრდება, თელასი დენის გათიშვებს დაიწყებს საათობით, საღამოს საათებში. დავალება აქვთ ნაცებისგან. არა ვხუმრობ, ზუსტად ვიცი. წინასწარ თუ დაიჭერს კალაძე თადარიგს, იქნებ ვერ გაბედო...“

„ახლა საარჩევნოდ მაინც მიაწოდეთ ხალხს, რა გაკეთდა“...

„ის, რაც იყო, პიარი არ ჰქვია. რაც შეეხება პიარს, აგრეთვე მთავრობის ნაბიჯების გაშუქებას და მონიტორინგს, ეგ აუცილებელია, და თუ ხარისხიანად გაკეთდა, არც ეგ დაჯდება პატარა თანხა“.

„ბომბის ამბები რომ ჩამთავრდება, თელასი დენის გათიშვებს დაიწყებს საათობით, საღამოს საათებში. დავალება აქვთ ნაცებისგან“...

„შალვა, ხელისუფლებამ არ უნდა იხადოს. მარგველაშვილმა წინასაარჩევნოდ კი აუცილებლად უნდა გადაიხადოს, უბრალოდ წინასაარჩევნო კლიპის სახე უნდა მიეცეს. თითქოს ისე გამოდის, ჯინჭარი ბიძინამ და კოალიციამ მოკრიფა, ხოლო ფხალის წილი ყველას მოუნდა, თან თავისი „ინგრედიენტებით“ უნდათ გააფუჭონ“.

„ნაცების დოზით არა, მაგრამ ცოტა საჭიროა... გააგებინეთ ხალხს, რომ ოცნება მუშაობს“...

„მაგალითად ივანიშვილს არ სჭირდება პიარი, მისი გაკეთებული საქმეებიდან გამომდინარე, მაგრამ მარგველაშვილს აუცილებლად და თანაც მაგარი, ანდა მეორე ტური გარანტირებული გვაქვს“.

„საჭიროა, იმიტომ რომ ხალხს თუ ტელევიზორიდან არ უთხრეს, არ ესმით და ვერ ხედავენ“ ...

„ყველაფერი შეიძლება დაითვალოს და გაითვალოს, რომელიც რეალობასთან იქნება ახლოს და მერე ცხვირში ძმრად არ გადენენ სიცრუისთვის“!

„მე მგონი, სიკეთის კეთება არ ეშლება პრემიერ-მინისტრს. ამიტომ გაკეთებულ სიკეთეს ქვეყნის სასარგებლოდ პიარი არ უნდა სჭირდებოდეს“.

„შალვა, რაც გაკეთდა, აუცილებლად ხაზგასმული უნდა იყოს, რომ ეს ყველაფერი 1 წლის განმავლობაში მოხდა. აგრესიაც უნდა დაუმატოთ კამპანიას, თორემ თქვენ თეთრი, სამეჯლისო ხელთათმანებით ხართ, ხოლო ახერმოძი და სხვები კრივის ხელთათმანებით „იბრძვიან“. ეს მამაძაღლი კოჰაბიტაციაც ნუ დაამსგავსეთ ვალსის ცეკვას, მინიმუმ ტანგოს მაინც დაამსგავსეთ, სადაც კოალიცია კაცის პარტიას ასრულებს და „პარტნიორს“ ერთი-ორჯერ მაინც „მოისვრის“, ან სცენაზე „ათრევს“.

„მაგითაც უნდა დაემსგავსონ ნაცისტებს?

„დავით სერგეეკოსეული პიარის განმარტება სამედიცინო ენაზე: „პიარის შემფასებლად მე ვერ გამოვდგები, მაგრამ გეტყვით ჩემს აზრს სოფლის ექიმის პიარზე. ატმოსფერული ჰაერი შედგება 21% ჟანგბადისგან, აზოტისგან და ძალიან ცოტა ნახშიროჟანგისგან. პიარი არის ჟანგბადი, მის გარეშე ვერ იარსებებ, მაგრამ საქმეები, რომლებიც მხოლოდ პიარისგან, ანუ სამედიცინო ენაზე რომ გითხრათ, მხოლოდ ჟანგბადისგან შედგება, განწირულია. მედიცინაში არის შემთხვევები, როდესაც იძულებული ხარ, 100%-იანი ჟანგბადი ასუნთქო, პირველი რეაქცია არის ეიფორია, უი, რა კარგია ყველაფერი, მერე მძიმე ორგანოები დაზიანდება და ამას მოყვება სისტემური გარდაცვალება. ამიტომ, პიარი უნდა იყოს რეალური და არა მხოლოდ საჩვენებელი“.

„ერთია აპიარებდე შენს გაკეთებულს და მეორე მალავდე მას“...

„თუ რამე კარგი აქვს ოცნებას გაკეთებული, ეტყობა მალავს, თორემ სანთლით ეძებს ხალხი და არაფერი ჩანს ტყუილების გარდა“...

„სამაგიეროდ კარგად ჩანს ის ნეგატივი, რასაც ყოველდღიურად ნერგავს ოცნება“.

„რეკლამა კი არა, მიგვითითეთ, ბუსუსებიანი პრეზერვატივის და ევრაზიულ კავშირზე საუბრის გარდა კიდევ რამე თუ აქვს გაკეთებული საოცნებო მთავრობას“.

„პიარი გაკეთებულ საქმეს კი არა გასაკეთებელს ჭირდება. საზმაუ შოუს კი არ უნდა დგამდეს, 24 სთ-იან რეჟიმში კანონმდებლობას და უფლებებს უნდა აცნობდეს ხალხს.მთავრობის ყველა გადაწყვეტილება ხალხთან მიქონდეს, ოპონენტების კომენტარებით და ხალხის აზრი მთავრობასთან! ლოზუნგებით კი არა საქმიანად. — აწყობთ? ნაკლიც უკეთ გამოჩნდება და გამოსწორების გზაც! — თორემ ტელევიზიით რომ შეიტყობს გაკეთებულ საქმეს ხალხი, ე. ი. არ გაკეთებულა“!

„არ ვარ თანახმა... ზუსტად ეგ არ მომწონდა წინა ხელისუფლების, რომ ბიუჯეტი საკუთარი ჯიბის ფულად მიაჩნდა... ახალი მთავრობა ამას არ აკეთებს, რაც მისასალმებელია“

„მთავრობის გაკეთებული საქმე პიარიდან კი არა, კანით უნდა შევიგრძნოთ. გარწმუნებთ ბევრად უკეთესი პიარი იქნება“.

„რეკლამის გარეშეც ვიცი, ხმა ვის უნდა მივცე“!

„სახსამსახურებში 3000 უსაქმური თუა და მხოლოდ 100 აკეთებს საქმეს.. გაუშვით უსაქმურები და დაზოგილი თანხით აკეთეთ რეკლამა.. საშინლად არ მინდა, უსაქმურს ფული ვუხადო... აი საშინლად... რეკლამა , პაჟალსტაااااა.. აკეთეთ... ისედაც სამ ხმაში კივის ნაცობა — დეინგრაა, დეინგრაა წვალებით ნაშენები სახელმწიფოო“!

**„ბომბის ამბები რომ ჩამთავრდება, თელასი დენის გათიშვებს დაიწყებს საათობით, საღამოს საათებში. დავალება აქვთ ნაცებისგან“...**

**ნატა ნიბლაძე**

◎ სამართალი

# ექსტრადირების პროცესები მალე დასრულდება

## მელნიკოვს საქართველოში უახლოეს პერიოდში ჩამოიყვანენ

**იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციის უფროსის ყოფილი მოადგილე დავით ჩხიტუნიძე ათენის ციხეში კვლავ მძიმე მდგომარეობაშია. ჩხიტუნიძე ათენის საექსტრადიციო საპყრობილეში მისი ოჯახის წევრმა მოინახულა, რომლის ინფორმაციით, მას თავის ძლიერი ტკივილები აღენიშნება. ადვოკატ დალი იმნაიშვილის განცხადებით, მისთვის უცნობია, როდის მოხდება ჩხიტუნიძის საქართველოში ექსტრადირება.**

სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალდებული დავით ჩხიტუნიძე ათენში, აგვისტოს შუა რიცხვებში დააკავეს. ათენის ციხეში ის ერთ-ერთმა ქართველმა პატიმარმა სასტიკად სცემა. ბრალდებული ჩხიტუნიძე ათენიდან თურქეთში გამგზავრების მცდელობისას დააკავეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ინტერპოლით ძებნილი ბრალდებული საბერძნეთის სამართალდამცველებმა ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე აიყვანეს. ჩხიტუნიძის ადვოკატების ინფორმაციით კი, მათი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოში დაბრუნებას და ჩვენებების მიცემას აპირებდა და საზღვარზე იმ მოტივით აიყვანეს, რომ მის დიპლომატიურ პასპორტს მოქმედების ვადა ჰქონდა შეჩერებული.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი, როგორც მან for.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, დავით ჩხიტუნიძე ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს, როგორც საქართველოს მიერ ინტერპოლით ძებნილი პირი.

რაც შეეხება საქართველოში მის ექსტრადირებას, როგორც წესი, საკითხი განიხილება იმ სახელმწიფოს პროცედურების დაცვით, სადაც პირი პატიმრობაში იმყოფება. კანონმდებლობთ კი ქართული მხარის ვალდებულებაა, 40 დღის ვადაში მასალები მიაწოდოს შესაბამის სახელმწიფოს. როგორც ჩილინგარაშვილი აცხადებს, მათ გაცილებით ადრე მიაწოდეს ეს მასალები ბერძნულ მხარეს.

**„ყველა მასალა, რაც კი საჭირო იყო ევროპული კონვენციით ექსტრადიციის შესახებ, მივაწოდეთ ბერძნულ მხარეს. მას უკვე აქვს წარმოებაში ეს მასალები და განიხილავს ამ საკითხს. რაც შეეხება ექსტრადირების განხილვის ვადებს, ეს არის მათი კანონმდებლობით განსაზღვრული და არანაირი უფლებამოსილება არ მაქვს იმისა, რომ ამ ვადებზე ვიმოქმედო. მათი კანონმდებლობით ხდება ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილებაც მათი კანონმდებლობის ფარგლებში იქნება მიღებული. ბერძნულ მხარეს დამატებითი დოკუმენტაცია არ მოუთხოვია, ახლა ჯერი საბერძნეთის მხარეზეა, როგორც კი მიიღებენ გადაწყვეტილებას, მოხდება მისი საქართველოში ექსტრადირება“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას დავით ჩილინგარაშვილმა.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე დავით ჩხიტუნიძეს ბრალად წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. რაც შეეხება ბრალდების ეპიზოდს, ჩხიტუნიძეს გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირების ციხეში პრივილეგირებულად ყოფნაში ხელშეწყობა ედება ბრალად.

გარდა ამისა, ექსტრადიციის მოლოდინშია გირგვლიანის საქმეზე კიდევ ერთი ბრალდებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, რომელიც სასჯელს უკრაინაში იხდის. მელნიკოვის ადვოკატის მალხაზ ველიჯანაშვილის ინფორმაციით, საექსტრადიციო ვადა 7 დეკემბერს იწურება, პროკურატურა კი ვერ აკონკრეტებს, როდის გადმოიყვანს საქართველოში ბრალდებულ მელნიკოვს.

**„მელნიკოვმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ ექსტრადირებაზე თანახმაა, მაგრამ არ ჩამოჰყავთ. პროკურატურა ამბობს, რომ პროცესი რატომღაც ჭიანურდება. ჩემთვის გაუგებარია გაჭიანურების მიზეზი, როდესაც მელნიკოვი ექსტრადირებაზე თანახმაა“,** — განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

გენერალური პროკურატურის სამართლებლივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მელნიკოვის საქართველოში ექსტრადირება უახლოეს მომავალში მოხდება.

**„რაც შეეხება ოლეგ მელნიკოვის საკითხს, შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ დასასრულისკენ მიდის პროცედურები უკრაინაში და უახლოეს პერიოდში, ძალიან მალე მოხდება მისი საქართველოში ექსტრადირება. ორივე შემთხვევაში ბრალდება არის მყარი და უტყუარი. შესაბამისად, ეს ბრალდებები მივაწოდეთ იმ სახელმწიფოებს. ისინი აფასებენ ფაქტობრივ გარემოებას, ქმედება ისჯება თუ არა მათი კანონმდებლობით, არის თუ არა დანაშაული ხანდაზმული და ა.შ. წმინდა პროცესუალური კუთხით ხდება საკითხის შესწავლა“,** — აცხადებს ირაკლი ჩილინგარაშვილი.

მელნიკოვი გასული წლის 7 დეკემბერს, უკრაინელმა სამართალდამცველებმა კიევში დააკავეს. საქართველოში შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსანს რამდენიმე მუხლით აქვს ბრალი წაყენებული, მათ შორის, სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალი მიმდინარე წლის ივლისში დაუმძიმეს. მელნიკოვი, სანდრო გირგვლიანის საქმეზე ახალი ხელისუფლების პირობებში დაწყებული გამოძიების ფარგლებში, დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნევა. ბრალდებული შარდენის სუფრის ერთ-ერთი მონაწილეა, რომელმაც გამოძიების ინფორმაციით, სანდრო გირგვლიანის და ლევან ბუხაიძის ქალაქგარეთ გატაცების მიზნით, ავტომობილში ძალის გამოყენებით ჩასმის მითითება გასცა.

**თამთა ქარჩავა**

◎ მობილური კავშირგაბმულობა

# ახალმოსახლეობა ისანში

**საქართველოში მობილური კავშირგაბმულობის ლიდერმა კომპანია „მაგთიკომმა“, რომლის მომხმარებელთა ოდენობამ დღესდღეობით სამ მილიონ აბონენტს გადააჭარბა, გუშინ თბილისში კიდევ ერთი, რიგით მე-11 მომსახურების ოფისი გახსნა.**

ისნის რაიონში ნავთლუღის ქუჩის №5/7-ში კომპანიის ახალი წარმომადგენლობა მაგთიკომის პრეზიდენტმა დევიდ ლიმ გახსნა.

**— დედაქალაქში ახალი, ოფისის გახსნა მომხმარებელთათვის მეტი კომფორტის შექმნის მოთხოვნილებამ განაპირობა,** — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში მაგთიკომის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო სურგულაძემ. **— ოფისში ცხრა თანამშრომელია დასაქმებული, რომელთაგან შვიდი მოლარეოპერატორია, რომელიც „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მუშაობს, რაც კლიენტებისთვის მეტად მოსახერხებელია. ახალი წარმომადგენლობა მაგთიკომის როგორც ძველ, ისევე ახალ აბონენტებს იმ კომფორტსაც შეუქმნის, რომ ისნის მიმდებარე რაიონების მომხმარებლების კომპანიის ოფისში მისასვლელად ადრინდელზე ნაკლები დრო დასჭირდებათ.**

უნდა ითქვას, რომ მაგთიკომს მომსახურების ფართო ქსელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აქვს შექმნილი, მათ შორის რეგიონებში 35 ოფისი მოქმედებს. მომხმარებლებს ასევე ოთხი მობილური ოფისი, დილერების გაშლილი ქსელი, აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები ემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი კომპანიებიდან მაგთიკომში 172 ათასზე მეტი აბონენტია პორტირებული, რაც იმავე მაგთიკომიდან სხვა ქსელებში პორტირებულთა მთლიან ოდენობას რამდენჯერმე აღემატება.

**— მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მომხმარებელს სერვისების მართვა მობილური ტელეფონებით ან ინტერნეტის მეშვეობით დამოუკიდებლად შეუძლიათ, მაგთიკომის ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და ყოველდღიურად უამრავ აბონენტს ემსახურებიან,** — დასძინა ქალბატონმა ნინომ.

გახსნაზე დამსწრე ჟურნალისტები ოფისის პირველ აბონენტსაც გავესაუბრეთ. იგი გიორგი ბაბაშვილი, მაგთიკომის დიდი ხნის აბონენტი აღმოჩნდა, რომელსაც კომპანიის პრეზიდენტმა დევიდ ლიმ სამსახსოვრო საჩუქარი — ინტერნეტ-მოდემი გადასცა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## ცეზარ ჩოჩელმა საგამოძიებო სამსახური დაკითხვის შემდეგ დატოვა

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, ცეზარ ჩოჩელი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე, დავით გიორგაძე, თუმცაღა...**

**მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა საგამოძიებო სამსახური დაკითხვის შემდეგ ადვოკატთან ერთად დატოვა. ჩოჩელმა მის წინააღმდეგ წაყენებული ახალი ბრალი მისი ოჯახის დაქვემდებარებაში არსებული ბიზნესის განადგურების მცდელობად შეაფასა. ბრალი, რომელიც მას ე.წ. შპალების საქმეზე წაუყენეს, აბსურდის თეატრია და სერიოზულ პრობლემასთან საერთო არაფერი აქვს. „ეს არის თითიდან გამოწოვილი ბრალდება, ე.წ. შპალების საქმის შესახებ და სხვა დეტალებზე. ხვალ დავგეგმავ ბრიფინგს და მედიას ამომწურავ ინფორმაციას მივაწოდებ. გამოძიების ინფორმაცია, რომ იმ თანხებით, რომელიც შპალების საქმეზე დამრჩა, „ბარამბო“, „ბერტა“ და სხვა კომპანიები შევიძინე, სისულელეა. დღევანდელი გადასახედიდან, ეს არის შეტევა ყველაზე წარმატებულ კომპანიებზე. კომპანია „ზედაზენი“ არის ერთადერთი კომპანია ვისაც აქვს 40%-იანი ზრდა წელს. მუდმივად გვაბრალებდნენ, რომ წინა ხელისუფლება გვმფარველობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წელს ყველა კომპანია უკან წავიდა და „ზედაზენს“ აქვს ზრდა“,** — განაცხადა ცეზარ ჩოჩელმა. **მან კომპანია „მიქსორის“ მიერ შპალების ქარხნის შექმენის პერიოდზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქარხანა, რომელიც შპს-მ შეიძინა, განადგურებული იყო და არაფერს წარმოადგენდა.**

**„შპალების ქარხანა შექმენილია ღია აუქციონზე, დანარჩენი ყველაფერი რაც იქ გაკეთდა, ჩვენი შექმნილია,** — განაცხადა ცეზარ ჩოჩელმა.

**ინტერპრესი**

## როცა საზოგადოება აქტიურდება: მოქალაქეთა აზრი

# ქართული სახელმწიფოს მოწყობის შესახებ

**მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს რუსეთის „თინეიჯერული“ ასაკის რომანოვების დინასტიამ და მართლმადიდებელმა ეკლესიამ, „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობების დარღვევის გზით, ბაგრატოვანთა ათასწლოვანი დინასტია და ექვსი საუკუნით ადრე გაქრისტიანებული ქვეყნის ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს. დაახლოებით 100 წლის შემდეგ მათ, ღვთის ნებით, სამაგიერო მიეზღათ. ბოლშევიკებმა ერთი ხელის მოსმით მოსპეს რომანოვებიც და მათი ეკლესიებიც. რამდენადაც მახსოვს, ამ მოვლენებს შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირს პირველად ყურადღება მიაქცია რუსმა ფილოსოფოსმა ნიკოლაი ბერდიაევმა. მოგვიანებით, 1948 წელს, ემიგრაციაში, რომანოვების სამეფო ოჯახმა სცნო ბაგრატიონთა სამეფო დინასტია და, შესაბამისად, დამოუკიდებელი ქართული სამეფოს არსებობა.**

1918-1921 წლებში და 1992 წლიდან დღემდე საქართველოში ვირჩევთ ხელისუფლებებს და არც ერთ მათგანს, არც ხალხს და არც ერს არ გადაუდგამს ნაბიჯი სამართლიანობისკენ — არ მოუთხოვია სამეფო ინსტიტუტის აღდგენა. ქართველებმა დავივიწყეთ, რომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენს წინაპრებს არ უთქვამთ უარი სამეფო ტახტზე. ეს რუსეთმა წაართვა ბაგრატიონების დინასტიას კუთვნილი სახელმწიფო (ჯერ ქართლ-კახეთი, შემდეგ იმერეთი).

ქართველმა ხალხმა 25 საუკუნეზე მეტი იცხოვრა მეფის ინსტიტუტის ქვეშ. მას ეს ისტორიული გამოცდილება აქვს! ვფიქრობ, სწორედ ამ ისტორიული ქვეცნობიერი მეხსიერებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ პრეზიდენტებს, ერთწლიან ინტერვალში, ვირჩევთ 90-პროცენტიანი ხმების უმრავლესობით. ჩვენი ზოგიერთი სნობი პოლიტიკოსი თუ ექსპერტი კი ამ ფაქტს ქართველი ხალხის დაბალი პოლიტიკური დონით ხსნის.

იქნებ ღვთისა და ისტორიული ცნობიერების უგულებელყოფის გამო არ უმართლებს საქართველოს. 1918-1921 წლებში არ მიგვიღეს ერთა ლიგაში და 70 წელი გავატარეთ საბჭოთა კავშირში. 1991 წლიდან დღემდე ვერ მოხერხდა სრულფასოვანი, თავისუფალი და ღირსეული ქვეყნის მშენებლობა.

ქართველი ხალხის ვალია, ყოველგვარი რეფერენდუმის გარეშე, საკანონმდებლო დონეზე მოითხოვოს პარლამენტისგან მონარქიის აღდგენა კონსტიტუციური მონარქიის სახით. სამწუხაროდ, ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი თავისი განათლების ფარგლებში კონსტიტუციური მონარქიის აღდგენას აიგივებს თავად-აზნაურობის რეანიმაციასთან. საკითხს ართულებს იმპერიული 120-წლიანი დამცირება და ათეისტური 70-წლიანი ტვინის გამორეცხვა და სხვა ხელშესახები მიზეზები, რომელთა ჩამოთვლას აზრი არა აქვს, რადგან ხალხის კონსოლიდაციას ამ საკითხის გარშემო მოკლე ვადაში არ უნდა ველოდოთ. გამოსავალი ერთია — პარლამენტმა, რომელიც არჩეულია ხალხის მიერ, უნდა მიიღოს იმპერატიული გადაწყვეტილება საქართველოში მონარქისტული წყობის აღდგენის შესახებ. ამით ის გამოისყიდის 90-იანი წლების დასაწყისის პარლამენტის დანაშაულს, რომელმაც ქვეყანა მხოლოდ მენშევიკების სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა. სამწუხაროდ, არსებული პარლამენტისგან შემოთავაზებული იდეის გაზიარება გამორიცხულია. მის წიგნიერ ნაწილს რესპუბლიკელები შეადგენენ. თუმცა თუ ამას მათგან მოითხოვს ბ. ივანიშვილი, მაშინ, რაღა თქმა უნდა, უმრავლესობა ერთხმად დაუჭერს მხარს კონსტიტუციურ მონარქიას.

სამეფო დინასტიის მხრიდან ერისთვის მეფის წარდგინებამდე პარლამენტმა რეგენტის მოვალეობის შესრულება უნდა დაავალოს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მით უმეტეს, თუკი მეფე იქნება არასრულწლოვანი. საქართველოს მოსახლეობას კი შევახსენებ, რომ ერეკლე მეორეს გარდაცვალების შემდეგ ვალები დარჩა გადასახდელი.

მიმაჩნია, რომ ქვეყანაში სამართლიანობის დასამკვიდრებლად 10 წლის განმავლობაში უნდა ვიცხოვროთ კონსტიტუციური მონარქიის წყობაში (ვაცადოთ მეფეს, თუკი პრეზიდენტებს ვაცლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ უკვე რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს სახელწიფოებრივი მოწყობის საკითხზე.

ვფიქრობ, „დავასაქმე“ ბატონი ბიძინა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის მართლა წავიდა ორი წლის შემდეგ არასამთავრობო სექტორში, მას „ზოგიერთები,“ „მეთვალყურის“ მოვალეობის შესრულებას დასწამებენ.

რაც შეეხება ნატოს. ჩვენთან მიმართებაში, რუსეთს ეს საკითხი არ აღელვებს. მან დანამდვილებით იცის, რომ საქართველოს არ მიიღებენ ნატოში მისი თანხმობის გარეშე. ამიტომ უნდა ვიხელმძღვანელოთ ბიბლიური სიბრძნით - სწრაფვა ნატოსკენ, ანუ კარგი მომავლისკენ პერმანენტულად სასიკეთოდ წაადგება საქართველოს აწმყოს. თუმცა, არსებობს სხვა ალტერნატივაც გრძელვადიან პერიოდში ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ( ბ-ნ ბ. ივანიშვილის საყურადღებოდ). ეს არის პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძის მოსაზრება, რომ საქართველოს დეოკუპაციისა და გამთლიანების სტრატეგია ავსტრიის გამოცდილებას უნდა დაეფუძნოს. სამწუხაროდ, საქართველოსთვის ამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან მოსაზრებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ავსტრიული ნეიტრალიტეტის მოდელი ჩვენ შემთხვევაში ნიშნავს, რომ საქართველოს ნეიტრალიტეტი უნდა აღიაროს გაერომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და უკლებლივ ყველა ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ, რომლებსაც ასევე უკლებლივ გააჩნიათ პრეტენზიები ჩვენი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილზე. ერთი რამ კი საკვირველია. საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხის განხილვისას რატომღაც ყველა შვეიცარიის მაგალითს ეყრდნობა, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. ასეთივე მოსაზრება დააფიქსირა ამის წინათ შვეიცარიის ელჩმა საქართველოში ბატონმა გიუნტერ ბეხლერმა. ნუთუ მანაც არ იცის, რა განსხვავებაა ნეიტრალიტეტის ავსტრიულ და შვეიცარულ მოდელებს შორის?

საკუთრივ რუსეთთან მიმართებაში ახალი ხელისუფლების პოზიცია მხარდაჭერას იმსახურებს.

რუსეთს დაშლით ემუქრება უმძიმესი სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში და მის მუსლიმურ რესპუბლიკებში. ეს რუსეთს კონვულსიური გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებს. ასეთ გადაწყვეტილებათა რიგს განეკუთვნება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. მან დაარღვია პარიზისა და ჰელსინკის ხელშეკრულებები. რეალურად იმყოფება მუდმივი წნეხის ქვეშ გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და მსოფლიოს პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფოთა მხრიდან. რუსეთს გაცნობიერებული აქვს აღიარებითი პოლიტიკის უპერსპექტივობა. ის ფარულად ბლოკავს სხვა სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას. ეს არის ფაქტი და არ განეკუთვნება კონსპიროლოგიის სფეროს. მაგალითად, ბელარუსის პრეზიდენტმა ა.ლუკაშენკომ გაოცებულმა განაცხადა, რომ რუსეთმა მთელ მსოფლიოს მოუწოდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება და როდესაც მე გამოვთქვიო ამის სურვილი, მითხრეს, რომ აღიარებისგან თავი უნდა შემეკავებინა. უგო ჩავესს, რომელმაც თავისი ინიციატივით აღიარა ე.წ. რესპუბლიკები, რუსეთი ასეთი წინადადებით ვერ მიმართავდა, გამომდინარე მისი ინტელექტიდან. ის, რომ ჩაძირვადმა კუნძულმა გაიზიარა რუსეთის აღიარება, ძაღლისთვის ძვლის გადაგდების ტოლფასია. მაშინ რა მიზანს ემსახურება რუსეთის ასეთი დუალისტური პოზიცია? თუ მხედველობაში არ მივიღებთ ევრაზიის შექმნის ილუზიურ საკითხს, პასუხი მარტივია — ეს არის გათვლილი შიდა მოხმარებაზე, ერთი მხრივ, შოვინისტებზე, ხოლო, მეორე მხრივ, რაც მთავარია, ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებზე, რომელთათვისაც არსებული სიტუაცია ძალზე დამაფიქრებელი უნდა გახდეს. თუკი ჩვენს შემთხვევაში რუსეთის აღიარებას ფაქტობრივად არ იზიარებს დანარჩენი მსოფლიო, ცხადია, მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ალბათობა ტოლია ნულის, რადგან თავის ავტონომიურ რესპუბლიკებს რუსეთი არასოდეს არ მიაგებს ასეთ პატივს. ვფიქრობ, როდესაც რუსეთი ჩათვლის, რომ მისი მიზანი უკვე მიღწეულია, რასაც უახლოეს წლებში უნდა ველოდოთ, რუსეთი კულუარულ ინიციატივებს გამოიჩენს საქართველოსთან არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად საერთაშორისო სამართლის ფარგლებში.

და კიდევ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მეგრული სეპარატიზმის პრევენციას.

დღეისათვის ქართული, მეგრული და სვანური ენები იმდენად დასცილდნენ თავიანთ საერთო წინარე ენას, რომ ქართველისთვის შეუძლებელია გაიგოს კომუნიკაციის დონეზეც კი მეგრული ან სვანური საუბარი. წესით ქართველებს, როგორც წამყვან ქართველურ ეთნოსს, უნდა აწუხებდეს და ეუხერხულებოდეს არსებული რეალობა. ვფიქრობ დროა, ენათმეცნიერებმა განსაზღვრონ მეგრული სიტყვების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც უნდა დამკვიდრდეს ქართულ ენაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენ შორის კომუნიკაციის სასურველი დონე (რაც ინტერნეტის ეპოქაში ადვილად მიღწევადია). ამასთან, ცხადია, რომ აღნიშნული გაამდიდრებს სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკას, ხელს შეუწყობს და გააძლიერებს თურქეთში მცხოვრები ლაზების (რომლებიც რაოდენობით სჭარბობენ ამჟამად ქართულ ენაზე მოსაუბრეთ) და „გააფხაზებული“ მეგრელების თვითიდენტიფიკაციას საერთო ქართველურ ეთნოსთან.

**ვაჟა ჯამარჯაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი**

**P. S. ვფიქრობ, ვიჩქარე ბატონი ბიძინას „დაწინაურება“ და „დასაქმება.“ ის არადემოკრატიულად და, რაც მთავარია, ძალად „ჩრის“ ბატონ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას ამომრჩეველს, რომელსაც, გამომდინარე ქართული ხასიათიდან, ნეგატიურად განაწყობს მის მიმართ. ქართულ ხასიათს კი ბატონი ბიძინა, ცხადია, კარგად იცნობს. უსამართლოდ ცდილობს, არ მიაღებინოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც სხვა კანდიდატებთან შედარებით გადამწყვეტი უპირატესობა გააჩნია, რადგან ის არ დაბადებულა, არ აღზრდილა და არ მიუღია განათლება საბჭოთა კავშირში. რისი ეშინია ოცნებას, ჩემთვის გაუგებარია. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა არასამართლებრივი გზებით მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, დაკავებულია „ხარაკირით“ ეწინააღმდეგება ენერგეტიკის განვითარებას ჰესების მშენებლობის გზით,ქალბატონი სალომე ვერ გახდება, სამწუხაროდ, ამომრჩევლის რჩეული.**

**ვ. ჯ.**

## კაკალ გულში

● **ესენი ქოლგას ვერ იჭერენ და ადეიშვილს დაიჭერენ?**

● **კოჟორიძემ, რამდენ ბალიანი იყო-ვო?**

● **112, ხო ამოგედინათ ყანყრატოში ჩვენთვის „უპრაგონოდ“ ჩამოჭრილი 20-20 თეთრი. ვიიიშ!**

● **112-ში ბომბის არსებობის შესახებ შესული ბოლო ზარი საეჭვოდ ემთხვევა მერაბიშვილის დარეკვის უფლების დროს ციხიდან. აი რას გვიამბობს წყარო(სამაშველო სამსახურის ოპერატორი): „14:45 წუთზე ზარი შემოვიდა. შუახნის მამაკაცმა მითხრა: „ადოო! ასდორმეტიაა? მაესთროსი ბობია „ბატონო, სასთრაფოთ მიიღეთ დომები“.**

## წერტილოვანი ფრაზები

● **ცრუ შეტყობინების გადასასადი ნაგავს მიებას ძმაო!**

● **კარგი იქნება, თუ სახელმწიფო მოხელეები უფრო მოკრძალებულად იცხოვრებენ. ხომ არავინ ამბობს, რომ მინისტრს, ან დეპუტატს სახლი არ უნდა ჰქონდეს და მაინც და მაინც ველოსიპედით უნდა დადიოდეს?! მაგრამ ისე ნუ იცხოვრებთ, როგორც საბჭოთა დროის მეწარმეფაშისტები ცხოვრობდნენ. თავშეკავება ყოველთვის საჭიროა. მით უმეტეს მაშინ, როცა შენი ხალხს ძალიან, ძალიან უჭირს.**

● **მიშას აეროპორტი არ იღებსო და გლდანის მერვე გეცადათ!**

● **ვაზელინი რეცეპტით რო გაიცემოდეს ან საერთოდ რო აიკრძალოს ამ ქვეყანაში არა?**

● **მე, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, მაინტერესებს, რომელი ამბობს სიმართლეს, ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (იმერლიშვილი ქურდბაცაა), თუ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირინა იმერლიშვილი (ერთი კილო შაქარი არ გაიყიდებოდა, სააკაშვილს და მერაბიშვილს წილი რომ არ მიღოთ).**

**პირადად მე მოვითხოვ ამ ურთიერთბრალდებებზე გამოძიების დაწყებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ ორივე მხარე მართალს ამბობს!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

# ექვს ათეულ წელზე მეტი მეცნიერების სამსახურში

**85 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს**

**მიხეილ ხანანაშვილს**

ბატონი მიხეილი დაიბადა 1928 წლის 19 სექტემბერს, ცნობილი მეცნიერის, საქართველოში ქიმიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის მიხეილ ხანანაშვილის ოჯახში. 1945 წელს №1 საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. უკვე მეორე კურსის სტუდენტი ჩაება სამეცნიერო მუშაობაში და პირველი სამეცნიერო ნაშრომი შეასრულა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, რომელთანაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარმატებით განაგრძობდა მეცნიერულ თანამშრომლობას. 1951 წელს სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიხეილ ხანანაშვილი ჩაირიცხა ქ. ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრებისთანავე უკვე მეცნიერებათა კანდიდატი შეუდგა ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ამავე ინსტიტუტში, რომელიც იმ დროისთვის აღიარებული იყო მსოფლიო ფიზიოლოგიის ერთ-ერთ მოწინავე ცენტრად. თავის 20-წლიანი უაღრესად პროდუქტიული სამეცნიერო მოღვაწეობა ამ რუსული ფიზიოლოგიის მექაში მიხეილ ხანანაშვილმა დაასრულა უმაღლესი ნერვული მოქმედების კვლევის ახალი მიმართულების პიონერისა და დამფუძნებლის სახელით საკავშირო სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის წოდებით.

უპირობოდ მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მოხვეჭამ უფლება არგუნა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს სათავეში ჩადგომოდა სწორედ იმ ლაბორატორიას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა დიდი ივანე პავლოვი.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ექვსი ათეული წლის წინათ ფიზიოლოგიური კვლევის ფერხულში ჩაბმისთანავე რეტროგრადული „ფსევდოპავლოვიზმის“ დოგმატიზმისგან განთავისუფლებული და განახლებული საბჭოური ფიზიოლოგიური მოძღვრების აღიარებით, მიხეილ ხანანაშვილი იმთავითვე წარმოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერ მკვლევართა პლეადაში ახალი ფორმაციის მეცნიერის თვისებებით, რაც მაშინ, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, ნოვატორული სულისკვეთებისა და შემოქმედებით ძიებათა სიმწვავის მიხედვით შეესაბამებოდა იმ პერიოდის უნიკალური ფრანგული კინემატოგრაფიის ისტორიულ „ახალ ტალღას“.

გასაოცარია ის გარემოება, რომ აკადემიკოსი მიხეილ ხანანაშვილი მთელი თავისი უშრეტი ენერგიით აღსავსე შემოქმედებით ცხოვრების ყველა შემდგომ ეტაპზეც უცვლელად რჩება ახალი ფორმაციის ფიზიოლოგად, კვლავაც ბრწყინვალედ წარმოადგენს ფიზიოლოგიის „ახალ ტალღას“ და ღირსეულად მორგებულ ეპითეტს „ახალი“ ამკვიდრებს, უპირველეს ყოვლისა, განუმეორებელი ნიჭით და მეცნიერული კულტურით.

1975 წელს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო იწვევს მიხეილ ხანანაშვილს — ფართო სამეცნიერო ასპარეზზე განთქმულს, მრავალი ნოვატორული კონცეფციის დამნერგავ მკვლევარს, ცხოველთა ქცევის შემსწავლელი ლაბორატორიის ხელმძღვანელად, სადაც მას მიანდეს ახლად გარდაცვლილი დიდი ივანე ბერიტაშვილის მიერ ნაანდერძევი სამეცნიერო-შემოქმედებითი ტრადიციების გაგრძელება.

1984 წელს მიხეილ ხანანაშვილი აირჩიეს საკავშირო მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1996 წლიდან ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსია.

ბატონ მიხეილის მოღვაწეობის 1980-1990 წლების მონაკვეთი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ისტორიაში აღმშენებლობისა და აღმასვლის ახალ ფურცლად. ამ პერიოდში ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე უბადლო მკვლევარ-ექსპერიმენტატორის ნიჭთან ერთად გამოვლინდა მიხეილ ხანანაშვილის პროგრესული სტილის ადმინისტრატორისა და მეცნიერების ორგანიზატორის კოლოსალური უნარი.

აკადემიკოს ხანანაშვილის სამეცნიერო კვლევის ძირითადი საკითხებია — უმაღლესი ნერვული მოქმედების კანონზომიერებანი ნორმისა და პათოლოგიის პირობებში, მეხსიერების და ემოციის პრობლემა. მას ეკუთვნის ორიგინალური კონცეფცია ინფორმაციული ნევროზის და ინფორმაციული სტრესის შესახებ. მრავალრიცხოვანი აღმოჩენის დონეზე ჩატარებული გამოკვლევებიდან მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიოლოგიის და მედიცინის მეცნიერების დარგების განვითარებაში და პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სამოციან წლებში მიხეილ ხანანაშვილმა შეძლო უნატიფესი ქირურგიული მეთოდიკის დამუშავება, რომლითაც მან განახორციელა ცხოველთა თავის ტვინის ქერქის სრული იზოლაცია ქვემდებარე თავის ტვინის სტრუქტურებიდან. ამ უნიკალური მეთოდიკის გამოყენებით მკვლევარებს თავის ტვინის ქერქის მიერ წარმოებული მთელი რიგი ფუნქციების დეტალური ანალიზის საშუალება მიეცათ.

მისი მეცნიერული მიღწევებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ინფორმაციული ნევროზის თეორიის ჩამოყალიბება. ეს თეორია გარკვეულწილად პრაქტიკულ მედიცინაში შეიჭრა და ისევ მიხეილ ხანანაშვილის ძალისხმევითა და ორიგინალური მიდგომის საფუძველზე ფსიქონევრული დაავადების დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ფორმის — ინფორმაციული დაავადების სახით წარმოგვიდგა. ინფორმაციული დაავადება გულისხმობს ნერვული სისტემის უმაღლესი ფუნქციების დარღვევას და ამით განპირობებულ, ორგანიზმის სხვა სისტემების ცხოველმყოფელობის მოშლას სამი ფაქტორის არახელსაყრელი შერწყმის პირობებში. ეს ფაქტორებია: მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად გადასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობა, ამისთვის განკუთვნილი დრო და დასახული ამოცანის შესრულების მაღალი მოტივაცია. ამ სამი ფაქტორის თანხვედრა არახელსაყრელია ორგანიზმისათვის იმ შემთხვევაში, თუ: გადასამუშავებელია დიდი მოცულობის ინფორმაცია, აუცილებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების და ტვინის ამგვარი მუშაობისათვის გამოყოფილია მცირე დრო; ან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი აქვს ინფორმაციის დეფიციტს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია კვლავ მაღალია, აღნიშნული „ინფორმაციული ტრიადა“ საყოველთაოდ აღიარებული იქნა კლინიცისტების მიერ. არსებითად, მიხეილ ხანანაშვილის მიერ შექმნილია უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის ახალი სახეობა და მისი განვითარების მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული იქნა ამ პათოლოგიის პრევენციისა და მკურნალობის ახალი გზები.

მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე მ. ხანანაშვილმა ახლებურად განიხილა და გააანალიზა ჰანს სელიეს მიერ ჩამოყალიბებული თეორია ზოგად ადაპტაციური სინდრომის თაობაზე. მის მიერ შემოთავაზებული იყო პიპოსტრესის, ნორმოსტრესის და ჰიპერსტრესის ცნება, რომლებიც არსებითად სტრესული მდგომარეობის ფორმებს წარმოადგენენ და დაასაბუთა ამ მდგომარეობების რეალური არსებობა. მიხეილ ხანანაშვილის მიერ მოწოდებული სტრესის განვითარების ორიგინალური თეორია არსებითად ჰანს სელიეს თეორიის შემდგომი განვითარება.

ამასთან ერთად მიხეილ ხანანაშვილმა შეიმუშავა მრავალი სრულიად ახალი ექსპერიმენტული მეთოდიკა. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია თავის ტვინის ლოკომოტორული თვითსტიმულაციის მეთოდი, რომელმაც საშუალება მისცა მას და მის თანამშრომლებს, დაედგინათ ემოციის მარეგულირებელი ცენტრები თავის ტვინში.

აკადემიკოს ხანანაშვილი მუდმივად ახლის ძიებაშია. თავისი მრავალწლიანი კლინიკო-ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და დაკვირვების ანალიზის საფუძველზე სულ უკანასკნელ ხანებში მან წარმოადგინა ნორმიდან პათოლოგიაში გადასვლის სრულიად ახალი და ორიგინალური თეორია, რასაც მან მეოთხე მდგომარეობა უწოდა. ე.ი. მისი აზრით, ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმყოფელობა შემდეგი ეტაპებისაგან შედგება — ნორმა, გარდამავალი მდგომარეობა, ავადმყოფობის მანიფესტაცია, სიკვდილი. მის მიერ აღწერილ გარდამავალი (მეოთხე) მდგომარეობის პერიოდში შეჭრილი პათოგენური აგენტის საწინააღმდეგოდ ორგანიზმში ამოქმედდება თვითმარეგულირებელი, დამცველობითი მექანიზმები. აღნიშნულ პერიოდში საჭიროა დამცველობით-კომპენსატორული რეაქციების გაძლიერება და არა დათრგუნვა, რათა თავიდან აცილებულ იქნას დაავადება, სხვა შემთხვევაში ძლიერი პათოგენური აგენტის ზემოქმედებისას, რომელსაც ვერ ერევა გარდამავალ მდგომარეობაში აღმოცენებული პროცესები, ვითარდება პათოლოგია. მისი ორიგინალური მოსაზრება პრინციპულად ცვლის ადრე არსებულ შეხედულებას იმ მოვლენათა ბიოლოგიური მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც წინ უსწრებს ჩამოყალიბებულ პათოლოგიას და, რომლებიც აქამდე განიხილებოდა „როგორც პათოლოგიის ადრეული სიმპტომები“. ეს თეორია სახავს ახალ, უფრო ეფექტურ მიდგომას დაავადების პრევენციის და მკურნალობის თვალსაზრისით.

ჯერ კიდევ 1999 წელს, რუსეთის პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გაზენკომ წინადადებით მიმართა მსოფლიოს მრავალ მეცნიერს, დაეჭირათ მხარი მიხეილ ხანანაშვილის ნობელის პრემიაზე წარსადგენად ფიზიოლოგიასა და მედიცინაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა ხელი შეუშალეს ამ იდეის განხორციელებას.

1975 წელს ლოს-ანჯელესში ხანანაშვლისათვის პავლოვის ჯილდოს გადაცემისას ამერიკის პავლოვის საზოგადოების პრეზიდენტმა პროფესორმა განტმა აღნიშნა, რომ პავლოვის შემდეგ მიხეილი არის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მეცნიერი უმაღლესი ნერვული მოქმედებისა და ქცევის შესწავლის სფეროში.

მ. ხანანაშვილის მეცნიერული წარმატების აღიარებაზე მეტყველებს ის, რომ იგი არჩეულია მრავალი ქვეყნის: ინგლისის, გერმანიის, აშშ-ის, ჩეხეთის, პოლონეთის პრესტიჟული სამეცნიერო საზოგადოებების წევრად და საპატიო წევრად. 1980-90 წლებში ის არჩეული იყო მსოფლიო ფიზიოლოგთა კავშირის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარედ. მას მინიჭებული აქვს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ი. პავლოვის სახელობის პრემია და ოქროს მედალი. დაჯილდოვებულია სხვა პრესტიჟული საერთაშორისო პრემიებით (აშშ, გერმანია, იტალია, ინდოეთი და სხვა.): ჩრდილოეთ ამერიკის ქცევის შემსწავლელი საზოგადების ჯილდო, სსრკ სახელმწიფო პრემია, ბულგარეთის მეცნიერებათა აკედემიის ოქროს ნიშანი, იტალიის გერონტოლოგთა აკადემიის და სტრესის შემსწავლელი საზოგადეობის ჯილდოები, პათოფიზიოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების მედალი, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ოქროს ნიშანი, არჩეულია ქ. კოლომბოს (შრი ლანკა) საპატიო მოქალაქედ. 2003 წელს აირჩიეს ამერიკის შეერთებულ შტატებში თვის ადამიანად. არის საქართველოს „ღირსების ორდენის“ კავალერი.

მიხეილ ხანანაშვილს ეკუთვნის 300-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის 16 მონოგრაფია გამოქვეყნებული, გარდა ქართულისა, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ბულგარულ და სხვა ენებზე. იგი თანაავტორია რამდენიმე სახელმძღვანელოსი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 საკანდიდატო და 7 სადოქტორო დისერტაცია. ბატონი მიხეილის მიერ გაწეული მართლაც რომ ტიტანური შრომა შეუძლებელი იქნებოდა მისი ერთგული მეუღლის, მეგობრის და ამავე დროს კოლეგის — ქალბატონ ლია წულაია-ხანანაშვილის მუდმივად მხარში დგომის და ზრუნვის გარეშე.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ბატონი მიხეილი ჩვეული შემართებით, განაგრძობს მაღალ შემოქმედებით მუშაობას. აქტიურად მუშაობს ახალ მონოგრაფიაზე, ჩართულია ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო თემატიკის განხილვაში და საქმიან რჩევებს აძლევს ახალგაზრდა კოლეგებს. ბატონი მიხეილის მეგობრების, მოწაფეებისა და კოლეგების სახელით ვულოცავთ მას დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

**ფრიდონ თოდუა,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;**

**ნოდარ მითაგვარია,**
**ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი;**

*2009 წელს გამოიცა ცნობილი ნეიროქირურგის ნაპო მესხიას წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი (ფაქტები, ფაქტები, ფაქტები...), მწარე სიმართლე დაუფარავად“.*

*ამ წიგნს მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა. 2013 წლის 15 იანვარს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „დეპუტატ ნაპოლეონ მესხიას წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ (ქართულ და რუსულ ენებზე) შესახებ“ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული რეფორმებისთვის“ თავმჯდომარის თეიმურაზ მჟავიასა და უმაღლესი საბჭოს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების, დიასპორასთან ურთიერთობის, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის ჯემალ გამახარიას ვრცელი (გაზეთის 2,5 გვ.) წერილი „ინფორმაცია ნაპო მესხიას წიგნის „როგორ გასხვისდა აფხაზეთის“ შესახებ“. მათში მთლიანად დაგმობილია ნ. მესხიას წიგნის სულისკვეთება, ავტორისეული დასკვნები და შეფასებები, როგორც წინასწარგანზრახულობით შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რუსული იმპერიალიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის აპოლოგია, რომელიც ისტორიული ფაქტების გაყალბებით, ცალკეული სახელმწიფო მოხელეებისა და საზოგადოების წარმომადგენლების სრულიად უსაფუძვლო და ცილისმწამებლური ბრალდებებით ხელს უწყობს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ სიმართლის გამრუდებას, მის ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ კონტექსტში წარმოჩენას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ღალატის ტოლი ქმედება.*

*დადგენილებამ ნაპო მესხიასგან მოითხოვა საჯაროდ ბოდიშის მოხდა „წიგნში დეპუტატების, სხვა თანამდებობის პირების და საზოგადოების წარმომადგენელთა მიმართ გამოთქმული ცილისმწამებლური ბრალდებების გამო“.*

*ამ პუბლიკაციების საპასუხოდ 2013 წლის 9 თებერვალს ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ზაურ კვარაცხელიას ასევე ვრცელი წერილი, „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“, რომელშიც ცილისწამებად არის გამოცხადებული დადგენილების და მჟავია-გამახარიას დასკვნები.*

*ამას 2013 წლის 20 თებერვალს მოჰყვა ჯემალ გამახარიას ანალიტიკური წერილი „როგორ სხვისდებოდა თუ „როგორ გასხვისდეს“... რომელშიც მკაცრად არის გაკრიტიკებული ნ. მესხიას და ზ. კვარაცხელიას დებულებები.*

*ამჯერად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რაისა ქარაიას დაჟინებული თხოვნით კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით დაბეჭდილს.*




# განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედება

## ღია წერილი ბატონ ნაპო მესხიას

**„ბოღმა სულის მორიელია, ეს კი ობიექტურობის პირველი მტერია“.**

**მერაბ რატიანი**

ბატონო ნაპოლეონ, ბრძნული ანდაზაა — „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“ და არ შეიძლება არ დაეთანხმო თქვენს პერეფრაზს — „სანამ რამეს იტყვი, შვიდჯერ უნდა გაზომოო“, მაგრამ სხვას რომ ურჩევთ, თქვენც ხომ უნდა გაითვალისწინოთ ეს. სამწუხაროდ ეს არ იგრძნობა თქვენს წიგნში „Как отторгалась Абхазия“. თქვენი ასაკის კაცისთვის შეუფერებელი იმდენი სიცრუე და უზუსტობები იფრქვევა ბოლომით წიგნის გვერდებიდან, რომ აუფასურებს იმასაც კი, თუ რამ ღირებულია მასში. გაოგნებული ვარ, და არა მარტო მე. ბევრმა იმათთაგანმა, ვინც წაიკითხა ეს წიგნი, აფხაზეთელმა თუ თბილისელმა, გაკვირვებულმა მკითხა — რა დაუშავეთ ამ კაცს ისეთი, რომ ამდენ ბოღმას ანთხევსო?! ყველას ყველაფერი კარგად ახსოვს, თუ რა და როგორ ხდებოდა, მათ შორის იმ აფხაზებსაც, ვისთვისაც იყო თქვენი წიგნი გათვლილი. როცა თუნდაც ერთი სიცრუე გაიჟღერებს, ყველაფერი ეჭვქვეშ დგება. წიგნში მოყვანილი „ფაქტები“ კი ისეთი ფანტაზიის დონეზეა დაწერილი, შეიძლება მკითხველი დააეჭვოს...

რა მაქვს მხედველობაში?

— ყველამ კარგად იცის, მათ შორის თქვენც, რომ უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ მხარი დაუჭირა საქართველოს ხელისუფლების მიერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წამოყენებულ თქვენს კანდიდატურას და ბოლომდე იყო მისი დამცველი, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი აფხაზური მხარე იყო და სწორედ ამიტომ გაიხლიჩა უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების არჩევის ერთიანი პაკეტი. შემდგომშიც ვერაფრით ვერ მოხერხდა მათი დაყოლიება თქვენს კანდიდატურაზე ვერც თანხმობის კომისიის დონეზე და ვერც დეპუტატების შეხვედრებზე, რომელიც არაერთხელ გაიმართა. ამიტომაც არ დამდგარა ეს საკითხი სესიაზე და არა ქართული დეპუტაციის „გაუთავებელი თამაშის“ გამო, როგორც ამას თქვენ აფიქსირებთ. ბ-ნ თ.ნადარეიშვილს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა რომ ნდომებოდა, ამას ნამდვილად მიაღწევდა ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან, რადგანაც ამის ავტორიტეტი ჰქონდა და მისი კანდიდატურა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზეც საქართველოს ხელისუფლებიდან მოდიოდა. 17 მაისს ქართული დეპუტაცია თქვენი კანდიდატურით უნდა წარმდგარიყო სესიაზე, ამიტომაც დაგავალათ ვ.არძინბამ გ.ლომინაძის კანდიდატურის წამოყენება სწორედ თქვენ და არა პრეზიდიუმის რომელიმე წევრს, სესიაზეც სწორედ თქვენ დაასახელეთ მისი კანდიდატურა და არა გ.გვაზავამ. რაში დაგჭირდათ სიმართლის დამახინჯება და იმის, რაც თვითონ გააკეთეთ სხვისთვის გადაბრალება? ბ-ნ გ.ლომინაძის კანდიდატურის წამოყენება მოულოდნელი იყო როგორც დეპუტაციისთვის, ასევე თვით ბ-ნ გ.ლომინაძისთვის. მისი კანდიდატურა იმ სიაშიც არ იყო, რომელსაც კენჭი უყარა ქართულმა დეპუტაციამ, თუმცა თქვენს წიგნში ის ფიგურირებს როგორც კანდიდატი თქვენთან ერთად... თქვენ ცრუობთ მაშინაც, როცა ირწმუნებით, რომ ბატონი თ.ნადარეიშვილი თბილისში იყო და იქიდან იძლეოდა დირექტივებს, დეპუტაციას კი მე ვხელმძღვანელობდიო. როგორ? თქვენ ხომ არც პრეზიდიუმის წევრი იყავით და არც არავინ გავალებდათ ამას. თუმცა დაბეჯითებით ამტკიცებთ, რომ „მიუხედავად იმისა, ვიყავი თუ არა არჩეული ოფიციალურად ფრაქციის თავმჯდომარედ, თამაზის არყოფნისას მე მიწევდა, მემართა დეპუტაციის ქართული ფრაქცია“. ნუთუ გგონიათ ყველას ამნეზია დაგვემართა? თქვენ ხომ მშვენივრად იცით, რომ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში ფრაქციები არ იყო ჩამოყალიბებული, პრეზიდიუმის წევრები კი იყვნენ გ.გვაზავა, ვ.ყოლბაია, ე.ასტემიროვა და თქვენთვის, რიგითი დეპუტატისთვის რატომ უნდა დაევალებიათ დეპუტაციის მართვა?! ვისთვის არის ეს გათვლილი? რატომ იბრალებთ, რომ დეპუტაცია ჩაიყვანეთ სესიაზე და შ.ხეცურიანს ათხოვიეთ შესვენების გახანგრძლივება, მაგრამ ვ.არძინბა არ დათანხმდა, სანამ თქვენ არ ჩაერიეთ და არ აუხსენით შესვენება რისთვის გჭირდებოდათ. არა, ბატონო ნაპო, ეს სრული სიცრუეა, რაც აფხაზებსაც კარგად ახსოვთ.

აი, როგორ იყო სინამდვილეში:

ფოიეში საუბრის შემდეგ, როცა თქვენ შემოხვედით ბ-ნ თ.ნადარეიშვილთან, სადაც მთელი დეპუტაცია იყო თავშეყრილი, მოსთხოვეთ, მოეწვია ბ-ნი გ.ლომინაძე და მერე იტყოდით, თუ რა შემოგთავაზათ ვ.არძინბამ. როცა ბ-ნ გივის ვერ დაუკავშირდით და აშკარა იყო შესვენების დროში ვერ ვეტეოდით, ბ-ნმა თამაზმა გვთხოვა და სხვებიც დაეთანხმნენ, ქ-ნი ე.ასტემიროვა და მე წავსულიყავით ვ.არძინბასთან, თქვენ კი დაგვაბარეთ გვეთქვა მისთვის, რომ ვაგვიანებდით იმასთან დაკავშირებით, რაზეც გესაუბრათ. ჩვენ სწორედ მისგან გავიგეთ, თუ რა დავალება მოგცათ მან თქვენ. მე აქ სრულად არ მოვიყვან მასთან ჩვენს საუბარს, მაგრამ ვიტყვი — მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი იყო თქვენი კანდიდატურის დაყენების, რადგან უფრო მიზანშეწონილად თვლიდა თქვენთვის პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას. მერე რაც სესიაზე მოხდა, ყველამ კარგად იცის.

ჩემი მიზანი თქვენი წიგნის განხილვა სულაც არ არის, მაგრამ არ შევეხო მასში მოცემულ ზოგიერთ ცილისმწამებლურ, ცრუ ბრალდებას არ შემიძლია. თქვენ თ.ნადარეიშვილს, გ.გვაზავას, ე.ასტემიროვას და მე გვაბრალებთ, რომ დავარწმუნეთ სამხედრო საბჭო ომის აუცილებლობაში და შემოვაყვანინეთ აფხაზეთში ტანკები. ყოველივე ამის მოწმედ კი ასახელებთ იმ პერიოდში საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ თენგიზ სიგუას. ეს იმდენად „დამაჯერებლადაა“ აღწერილი, რომ ძნელია, ეჭვი შეიტანო. ამიტომ ამაზე არაფერს ვიტყვი, მასზე პასუხს თვით ბ-ნ თენგიზ სიგუას შემდეგი წერილი გასცემს:



მცირედი კომენტარი ბატონ ნაპოლეონ მესხიას წიგნზე -
„Как отторгалась Абхазия»

ჩემი მიზანი ნამდვილად არ არის შეფასება მივცე აღნიშნულ წიგნს და გავაანალიზო იქ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აბსურდულია. ვფიქრობ, რომ შეფასებას ისტორიკოსები და თვითმხილველები უფრო კომპეტენტურად გააკეთებენ.

ამავე დროს მე არ შემიძლია გვერდი ავუარო და გავჩუმდე წიგნში აღწერილ ორ მომენტზე:

- როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აფხაზეთში ჯარის შემოყვანის მოთხოვნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არც ერთი დეპუტატი, არც თამაზ ნადარეიშვილი, არც ელგუჯა (გია) გვაზავა და მით უმეტეს, ქალბატონები - ეთერ ასტემიროვა და რაისა ქარაია სამხედრო საბჭოში არ ყოფილან, როგორც ამას ბატონი ნ. მესხია აფიქსირებს წიგნის 68-ე გვერდზე. ამდენად, ის რომ დეპუტატების ვიზიტმა სამხედრო საბჭოში გადაწყვიტა ომისა და მშვიდობის ბედი, რომ მათ შეიყვანეს ტანკები აფხაზეთში - საფუძველს მოკლებულია და ცილისწამებაა. ზემოთაღნიშნული დეპუტატები, თამაზ ნადარეიშვილის გარდა, მე გავიცანი ომის პერიოდში ჩემი სოხუმში ყოფნის დროს.

- ჩემი დამოწმება, თითქოს ერთ-ერთ ვახშამზე ხელი გამეშვიროს თანამესუფრე დეპუტატებისკენ (თ. ნადარეიშვილი, გ. გვაზავა, ე. ასტემიროვა და რ. ქარაია) და მეთქვას -« я и сегодня слышу в ушах карканье вот этих ваших депутатов – скорее, скорее вводите войска, иначе потеряем Абхазию» - მტკნარი სიცრუეა.

მე, თენგიზ სიგუას, როგორ შემეძლო დეპუტატებისთვის დამებრალებინა ისეთი რამ, რაც ნამდვილად არ ყოფილა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ არასდროს არ ვყოფილვარ იქ სადილებზე ისეთი შემადგენლობით, რომელიც წიგნშია მითითებული (გვ. 111). როგორც წესი, სადილზე 15-20 კაცამდე იკრიბებოდა, მაგრამ ქალბატონები არასოდეს არ ესწრებოდნენ ჩვენს ამგვარ თავყრილობებს. რაც მთავარია, სიტყვა „карканье», რომელსაც მე მაწერს ბატონი ნაპოლეონი, ჩემს ლექსიკონში არ ჯდება, მით უმეტეს ქალბატონების მიმართ.

მე არ ვიცი, რამ გამოიწვია ბატონ ნ. მესხიაში კოლეგებისადმი, მით უმეტეს, ქალბატონებისადმი ასეთი სიძულვილი, რამ უბიძგა მას ასეთი უზნეო ცილისწამებისაკენ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული - ეს წიგნი აბსოლუტურად არ ემსახურება არც სიმართლეს, რისი პრეტენზიაც ავტორს აქვს და არც კონფლიქტის დარეგულირებას, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი, სეპარატისტული იდეოლოგიით გაჟღენთილი და ბოღმით სავსე კაცის ნაწერი.

თენგიზ სიგუა
№ 5 0140563
პირადი № 01024015779
9.02.2013

მე კი დავამატებდი, თბილისში ომამდე ვიყავი მხოლოდ ერთხელ, აფხაზეთის ინტელიგენციასთან ერთად, საქართველოს გაეროში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე; ბ-ნ ე.შევარდნაძეს კი პირველად შევხვდი და დაველაპარაკე ომის პერიოდში, გაგრის დაცემის შემდეგ, როდესაც მას აფხაზეთის დეპუტაციასთან ჰქონდა შეხვედრა. თქვენ კი, როგორც თვითონ წერთ, თურმე ხშირად გიწევდათ მასთან შეხვედრა, თითქოს ქართული ფრაქციის გადასარჩენად. უმაღლესი საბჭოს ქართულ დეპუტაციას, და არა ფრაქციას, არაფერი ემუქრებოდა; აფხაზეთში არასოდეს დამდგარა საკითხი არც დეპუტაციის გაუქმების და არც პარალელური სტრუქტურების შექმნის შესახებ, ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, ამას ვერავინ დაგიდასტურებთ, ამიტომაც მოგყავთ მოწმედ სულ გარდაცვლილები. ვინ იცის, იქნებ თბილისში თქვენი ვოიაჟების დროს იხილავდით ჯარის შემოყვანის საკითხს სამხედრო საბჭოში და თქვენ მიეცით ამაზე თანხმობა ბ-ნ ე.შევარდნაძეს?!...

ალბათ, მკითხველს დაებადება კითხვა – რატომ ქალბატონებისადმი ასეთი მწარე ცილისწამება?

– ქ-ნ ე. ასტემიროვას მიმართ თქვენ ჯერ კიდევ სოხუმიდან იყავით უკმაყოფილო იმიტომ, რომ პირველმა მან გაუწია წინააღმდეგობა თქვენს მოთხოვნას ომის პერიოდში გაუქმებულიყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ქართული შემადგენლობა და არჩეულიყო ახალი. ბ-ნმა ა.გასვიანმა აღიარა, რომ ეს მართლაც ასე მოხდა და ეს დიდი შეცდომა იყო. თქვენ კი წერთ - ჭორი გაგივრცელეს თურმე, რომ თქვენი ჯგუფის წევრებთან (კ.ჯაჭვლიანი, ა.გასვიანი, ჯ.გამახარია) ერთად ვ. არძინბას განცხადებით მიმართეთ და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას თხოვდით. ქ-ნმა ე.ასტემიროვამ უკვე თბილისში არაერთხელ შეგახსენათ, თქვენი ეს განცხადება, მაგრამ მაინც წერთ, თითქოს ამის შესახებ მრავალი წლის შემდეგ, დევნილობაში გაიგეთ ბ-ნ გ. გვაზავასა და ჩემგან. რა გინდათ, ცდილობთ ჩვენს დაპირისპირებას? თურმე „ეს უსინდისო პიარი სჭირდებოდა იმას, ვისთვისაც ეს აუცილებელი იყო ჩემი რეიტინგის დასაწევად მაშინ, როცა სოხუმშიც და თბილისშიც ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა დადებითად და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ჩემი დანიშვნის საკითხი იყო გადაწყვეტილი“ (???) თბილისში არ ვიცი, მაგრამ სოხუმში გადაწყვეტილი იყო მხოლოდ ქართულ დეპუტაციაში, აფხაზთა მხრიდან კი კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება იყო. ამავე დროს თქვენ თვლიდით, რომ 2004 წლის მარტში ბ-ნ თ.მჟავიას არჩევა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ორგანიზებული იყო ქ-ნ ე.ასტემიროვას მიერ, თქვენ კი კანდიდატურის მოხსნა მოგიხდათ, და ეს მას არ აპატიეთ.

– რამ დაგბოღმათ ჩემზე? მხოლოდ იმან, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ თქვენს კანდიდატურას მხარი არ დავუჭირე? 2004 წელს, თავმჯდომარის არჩევნების წინაპერიოდში ჯერ ბ-ნი თამაზ ხუბუა გამომიგზავნეთ, შემდეგ პირადად მესაუბრეთ და შემახსენეთ გალი, ჩვენი ოჯახების ურთიერთობა და ა.შ. მართლაც ჩვენ ხომ გალელები ვართ. თქვენ 1956 წელს დაამთავრეთ იქ მე-3 (რუსული) საშუალო სკოლა, მე 1957წ. – მე-2 (ქართული); ორივე სკოლა ფაქტობრივად გვერდი-გვერდ იყო და ყველა ერთმანეთს მართლაც კარგად ვიცნობდით. თქვენ კი წერთ, რომ მე და ქ-ნი ოლღა ნაგარნინა 1989 წელს გაგვიცანი მოსკოვში. გალი რომც არ გხსომებოდათ, მე ხომ თქვენთან 1978 წელს ვიყავი, ჯერ კიდევ განახლებაში, ნეიროქირურგიის განყოფილებაში ჩემი გამოკვლევებით და თქვენი აზრი მაინტერესებდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, მე თანამშრომლის მცირეწლოვანი ბავშვი მოგიყვანეთ თავის ქალის მძიმე ტრავმით და ხშირად მოვდიოდი თქვენთან ამ ბავშვთან დაკავშირებით. არა მგონია, ეს არ გახსოვდეთ, მაგრამ ისევ ცრუობთ. რატომ? რას გაძლევთ ეს?

– თქვენ ვერც ქ-ნ ო.ნაგარნინას გაიცნობდით ჩემთან ერთად მოსკოვში, რადგან ის ფიზიკურად იქ არ იყო; არც პრესკონფერენცია იყო რომან გოცირიძის მიერ ორგანიზებული. ის ქართულმა სათვისტომომ მოაწყო ჩვენი თხოვნით და იქ 1989 წლის ივლისის მოვლენებთან დაკავშირებით ძალიან კარგი ანალიზი გააკეთა ქ-ნმა რუსუდან ქორჩილავამ. სიტყვით მეც გამოვედი და ქ-ნი ალა ვასილჩენკოც. თქვენ კი წერთ, აფხაზმა სტუდენტებმა მთელი დარბაზი აიყვანეს ხელში და ჩვენს წინააღმდეგ განაწყვეს, ჩვენები კი ხმას არ იღებდნენ, თითქოს წყალი ჰქონდათ პირში ჩაგუბებულიო, შემდეგ კი, ჩემს თანამზრახველებთან ერთად, დარბაზიდან საერთოდ გავიდნენო; თითქოს თქვენმა გამოსვლამ დაალაგა ყველაფერი და ყველა მხოლოდ თქვენგან იღებდა ინტერვიუს. ნუთუ მართლა გგონიათ, რომ თქვენი იმედით წავედით მოსკოვში? ქალბატონები - ალა ვასილჩენკო, გული გადელია, მარგო ვეკუა, რაისა ჯიჯელავა, რუსიკო ქორჩილავა და მე (საბედნიეროდ ყველა ცოცხალია და ყველაფერი კარგად ახსოვთ) წავედით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შესახვედრად. ბ-ნმა რევაზ სალუქვაძემ შეგვახვედრა რამდენიმე მის კოლეგას და სწორედ მათი რჩევით გაიმართა პრესკონფერენცია. თქვენ იქ არავინ არ გელოდათ და, მართალი გითხრათ, არც არავის ახსოვს თქვენი იქ ჩამობრძანებაც კი. საიდან ამდენი მე, მე, მე... აშკარაა, მახსოვრობა გღალატობთ, ბ-ნო ნაპო, თორემ არავის ახსოვს თქვენი ისეთი აქტიურობა, არც იქ და არც აქ, როგორსაც იბრალებთ. თითქმის 10 წელი ე.შევარდნაძის მრჩეველი იყავით აფხაზეთის საკითხებში; 5 წელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ამავე დროს ხელმძღვანელობდით სახალხო დიპლომატიას აფხაზებთან მიმართებაში, მაგრამ მერე რა? რას მიაღწიეთ? შეიცვალა რამე?! ვერაფერს იტყვი, თქვენ ნამდვილად კარგად ცნობილი, პროფესიონალი დასტაქარი ბრძანდებით და ბევრი სიცოცხლე გიხსნიათ სიკვდილის კლანჭებიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ასეთივე კარგი პოლიტიკოსი იყოთ. მაინც რატომ ცდილობდით ასეთი მონდომებით იმ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობას, რომელსაც „ეგრეთ წოდებულს“ ეძახით და ასე ასამარებთ?... თქვენ ბ-ნ გ.გვაზავას ლანძღავთ და ყველა ცოდვაში ადანაშაულებთ მხოლოდ იმიტომ, რომ დეპუტაციამ ის აირჩია თავმჯდომარედ, თქვენ კი მხოლოდ ოთხი ხმა მიიღეთ თქვენის ჩათვლით. სწორედ ამ ბოღმამ ამოხეთქა თქვენში თორემ, რომ აგვერჩიეთ თავმჯდომარედ, ასეთ ცილისმწამებლურ პასკვილს არ დაწერდით და ყველასთან მეგობრულ ურთიერთობაში იქნებოდით.

თქვენ, რომელსაც თითქოს გახსოვთ და, მაგნიტოფონში ჩაწერილივით, დაწვრილებით აღწერთ ყოველ თქვენს ქმედებას თუ სიტყვას, მოწმედ ძირითადად მოგყავთ აწგანსვენებული ბ-ნი კიმ ჯაჭვლიანი (ალბათ, საფლავში გადაბრუნდება საწყალი), ამ დროს არ გახსოვთ და რეალურ ფაქტებს თქვენს სასარგებლოდ ამახინჯებთ, რასაც ადასტურებენ თქვენი ჯგუფის წევრებიც და ისინიც, ვისაც იმოწმებთ. წიგნში მოყვანილ სიცრუეებს პასუხი რომ გაეცეს, დიდი მოცულობის წიგნი უნდა დაიწეროს და, ალბათ ამის დროც დადგება.

საქმეში ჩაუხედავმა ობივატელმა შეიძლება ეს წიგნი „მწარე სიმართლის“ აღიარებად მიიჩნიოს, როგორც ამას თქვენი სიძე, წიგნის რედაქტორი იური პაპასქუა აკეთებს, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანისთვის მისი სულისკვეთება საკუთარი განდიდების სურვილით გაბრუებული კაცის შემოქმედებაა, რაც ნამდვილად ანტისახელმწიფოებრივია და სეპარატისტთა წისქვილზე ასხამს წყალს. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას თქვენი „აღმოჩენა“ – „აფხაზეთი არ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ნაწილი“, ან მთლიანად VIII თავში თავმოყრილი ახალი სეპარატიზმის გაღვივებით გაჟღენთილი მარგალიტები, რომლებიც, არავითარ კავშირში არ არის ომთან და ომის პერიოდთან, მაგრამ სრულად ეხმიანება სეპარატისტების სულისკვეთებას და რუსეთის იმპერიულ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული.

თქვენ ხშირად იმეორებთ – „მე მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა – მეთქვა სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“, მაგრამ როგორი სიმართლეცაა წიგნში გადმოცემული, აფხაზებმაც კარგად გაიგეს, ამიტომაც ირონიით „მშვიდობის მტრედი“ გიწოდეს.

**რაისა ძარაია,**

**აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი**

◎ დანაშაული!

# მეცხოველეობა უსაძოვრებოდ ვერ განვითარდება

**წინა ხელისუფლებამ შეგნებულად აურია სასოფლო-სამეურნეო მიწების კატეგორიები, რათა განუკითხავად გაესხვისებინა, განსაკუთრებით უცხოელებზე. ის არ ითვალისწინებდა საკუთარი მოსახლეობისა და ქვეყნის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს.**

ამის თვალსაჩინო მაგალითია გორის რაიონის სოფელ დიცში გასხვისებული მიწები, რომელსაც ადგილობრივები საძოვრებად იყენებდნენ. ეს ტერიტორია მიბჯენილია ოკუპირებულ ე. წ. სამხრეთ ოსეთს. სპეციალისტთა განმარტებით სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის გასხვისება, მით უმეტეს უცხოელზე, ყოვლად დაუშვებელი იყო. საქმე ის არის, აცხადებენ ადგილობრივები, რომ მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრმა ვერა ქობალიამ მოსახლეობისაგან ფარულად (მგონებ მუნიციპალიტეტისგანაც, მაგრამ აუცილებლად სააკაშვილთან შეთანხმებით, შეიძლება მითითებაც) მიწა მიჰყიდა ვიღაც, უცნობი წარმოშობის ქართველს. ამის შემდეგ დიცელების მიწა თურმე სამჯერ გაიყიდა და ბოლოს ინდოელი მფლობელის ხელში აღმოჩნდა. მანაც მიწის დასამუშავებლად მუშახელი მიიყვანა. ფაქტის წინაშე დამდგარი დიცელები ისე აღშფოთდნენ, რომ მისულთ ჯოხებით, ცულებით და სხვა შრომითი იარაღებით გამოეკიდნენ. ისინი ინდოელ ფერმერს დღესაც არ უშვებენ შესყიდულ ტერიტორიაზე და აცხადებენ, რომ ომის დროს ისედაც ბევრი დაკარგეს და ახალი ტერიტორიების დაკარგვას აღარ დაუშვებენ. ასე იცავენ ნაცები მოსახლეობის სასიცოცხლო და ქვეყნის ისტორიულ ინტერესებს.

კომუნისტების პერიოდში საქართველოში 3 მლნ ჰექტარი (ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არსებობდა. აქედან 850-900 ათასი ჰა სახნავ-სათესად გამოიყენებოდა. მრავალწლიანი ნარგავებისათვის (ვენახი, ხეხილი, ჩაი) განკუთვნილი იყო 260 ათასი ჰა. 400 ათასი ჰა საძოვრებისათვის გამოიყენებოდა. დიდი წილი იყო გამოყოფილი ალპური სათიბებისთვისაც.

სოფლის მეურნეობის ექსპერტი თამაზ კუნჭულია განმარტავს, რომ კატეგორიულად იყო აკრძალული ერთი კატეგორიიდან მეორეში (მაგ. საძოვრების სახნავში) გადასვლა. მაგრამ მას შემდეგ, რაც წინა ხელისუფლებამ სასოფლო-სამეურნეო მიწების დეცენტრალიზაცია მოახდინა, ყველაფერი დასაშვები გახდა. ეკონომისტი დავით ლაშხია, მომხდარს წინასწარგამიზნულად მიიჩნევს, რათა სააკაშვილსა და მის გუნდს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოეხდინა ნებისმიერი ტერიტორიის გაყიდვა. შედეგმაც არ დააყოვნა. დაიწყო ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების ნოყიერი საძოვრების უცხოელებზე მიყიდვა.

ცოტა ხნის წინათ სიღნაღის რაიონის დაბა წნორის მოსახლეობა საპროტესტო აქციით მუნიციპალიტეტს მიადგა. მათ სულ ახლახანს შეიტყვეს, რომ წინა ხელისუფლებამ 50 ჰა მიწა იჯარით რამდენიმე პირს მიაქირავა, შემდეგ რამდენჯერმე გაიყიდა და ბოლოს ინდოელი ფერმერის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც გადაწყვიტა მიწის დამუშავება და შესყიდულ ტერიტორიაზე ადგილობრივებს პირუტყვის შეყვანის ნებას არ აძლევს. მუნიციპალიტეტი კი უძლურია. მიწა ვერონიკა მეპურის მიერაა გაყიდული და ის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო.

ანალოგიური ვითარებაა კახეთისა და ქართლის რაიონების მთელ რიგ სოფლებში. ცოტა ხნის წინათ მსგავსი სიტუაციების მომსწრენი გავხდით იმერეთსა და სამეგრელოშიც.

ვანის რ-ნის სოფლებში 2000-ზე მეტი კომლი უსაძოვრებოდ დატოვეს. არადა, მესაქონლეობა მათი ერთადერთი მარჩენალი წყაროა.

ხობის რაიონის სოფელ ხიბულას საძოვრები შოკოლადის მწარმოებელ კომპანია „ფერასთვის“ მიუყიდიათ.

სენაკის რაიონის სოფელ თეკლათის საძოვრები 2010 წელს ადგილობრივებთან შეუთანხმებლად ეკონომიკის სამინისტრომ უცხოელებზე გაასხვისა. იგივე ბედში არიან აბაშის რაიონის სოფელ ზანათის მცხოვრებლებიც. ისინი 75 ჰა საძოვრების დაბრუნებას ითხოვენ.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა აცხადებს, რომ დღეს საქართველოში 70-ზე მეტი სოფელი უსაძოვროდ არის დარჩენილი. მეპატრონეები ძირითადად ჩინელები, ინდოელები, თურქები და პაკისტანელები არიან. მისი მტკიცებით უცხოელებზე მიწების გაყიდვა უმეტესწილად კორუფციული გზებითა და მიზნებით ხდებოდა.

პრემიერი ივანიშვილი აცხადებს, რომ თუკი ხელშეკრულებები სამართლიანად არის გაფორმებული, მთავრობა ვერაფერს მოახერხებს.

„ნაცების“ მიერ საქმე შეგნებულად იმდენად აბურდულია, რომ მასში გარკვევა ექსპერტებსაც უჭირთ. თამაზ კუნჭულია ამბობს, რომ არ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია საძოვარი, სახნავი და ა. შ. მიწების შესახებ. არ ვიცით, როგორ ხდება ტრანსფორმაცია. კვლევების დროს ვიყენებთ ძველ მასალებს, რაც არასწორია, მაგრამ ვართ გამოუვალ მდგომარეობაში. მას შემდეგ, რაც გაერომ აღიარა, რომ მალე სურსათზე დეფიციტი შეიქმნება, ინდოეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვა, – ამბობს სპეციალისტი.

დოცენტი, იურისტი გოგი გიორგაძე გვიხსნის, რომ კანონით თვითმმართველობას, სახელმწიფო სტრუქტურებს არა აქვთ უფლება სოფლის (თემის) საკუთრების გასხვისების, ადგილობრივი მოსახლეობის 2/3-ის თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში ეს მოთხოვნა დარღვეულია.

იურისტი პრემიერის მოსაზრებას პატიოსანი შემსყიდველისათვის ქონების ჩამორთმევის დაუშვებლობის შესახებ სრულად იზიარებს, რადგან ცივილიზებულ სამყაროში კერძო საკუთრება ხელშეუხებელია, მაგრამ თვლის, რომ მათ მიმართ, ვინც ეს ქონება უკანონოდ, ადგილობრივებისაგან ფარულად გაასხვისა, შესაძლებელია სისხლის სამართლის მუხლების ამოქმედება. ისიცაა შესაძლებელი, რომ მათ ქონება დაუყადაღდეთ (რა, არა აქვთ თუ რა) და თუ პატიოსანი მყიდველის კეთილი ნება იქნება, გამოსყიდული იქნას მიწების რაღაც რაოდენობა, მთავრობაც ცოტას წაეხმარება და შესაძლებელი იქნება სოფლების რაღაც რაოდენობისთვის მაინც საძოვრების დაბრუნება.

**ზაზა გილიხოქე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართველები და სამხრეთოსეთელები ტერიტორიის გამო ერთმანეთის წინააღმდეგ

**17 ოქტომბერს, აგვისტოს პაუზის შემდეგ, რუსი მესაზღვრეების მიერ განახლებულმა სამხრეთი ოსეთისა და საქართველოს საზღვრის დემარკაციამ ინციდენტებამდე მიგვიყვანა. პროცესისთვის ხელის შეშლას შეეცადნენ ადგილობრივი მცხოვრებლები საზღვრისპირა ქართულ სოფელ დიციდან, რომელიც გორის რაიონში შედის. მათი სიტყვებით, საზღვრის ხაზებზე მავთულხლართების გავლების შემთხვევაში ტერიტორიაზე, რომელსაც კონტროლს სამხრეთი ოსეთი აკონტროლებს, დარჩება სამი საცხოვრებელი ნაგებობა, ქართული სასაფლაო და ხილის ბაღები.**

**საქართველო თხოვს ეუთოს, აღადგინოს კონფლიქტის ზონაში მეთვალყურეთა მისია**

სოფლელების ჯგუფმა დაიწყო სიტუაციის ემოციური განხილვა რუსეთის მესაზღვრეებთან, როდესაც, თვითმხილველთა სიტყვებით, ამ საქმეში უხეშად ჩაერია რუსეთელების თანხმლები სამხრეთი ოსეთის წარმომადგენელი. მასსა და ქართველებს შორის ატყდა ჩხუბი. დიცის მცხოვრებმა ილია ბერუჩაშვილმა გვიამბო, რომ ვნებათაღელვის ჩახშობა შესაძლებელი გახდა მესაზღვრეების ჩარევის შემდეგ. ადგილზე გაემგზავრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და ევროკავშირის მეთვალყურეები. სამხრეთ ოსეთმა ჯერჯერობით სიტუაციას კომენტარი არ გაუკეთა.

რუსმა მესაზღვრეებმა, რომლებიც აგრძელებენ თავიანთ საქმეს, სოფლელებს უჩვენეს საბჭოთა სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის რუკები, რომელთა მიხედვითაც წარმოებს ტერიტორიის დაყოფის პროცესი. გასაგებია, რომ ამან დიდად ვერ დაამშვიდა ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ფაქტობრივად კარგავენ ქონებას. დიცის მცხოვრებლები ამბობენ, რომ გააგრძელებენ დაპირისპირებას დემარკაციასთან დაკავშირებით, რადაც არ უნდა დაუჯდეთ ეს. მათ ემუქრებიან დაკავებით მესაზღვრეების მხრიდან და სამხრეთი ოსეთის მილიციის განყოფილებაში მიყვანით.

სამხრეთი ოსეთი დიდი ხანია სთავაზობდა საქართველოს დემარკაციისა და დელიმიტაციის ერთობლივი კომისიის შექმნას. თბილისი წინააღმდეგი იყო, მიაჩნდათ, რომ სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები „ოკუპირებულია“. მაგრამ მაისის ბოლოს პროცესი დაიწყო ცალმხრივად. საქართველომ უპასუხა აპელაციებით საერთაშორისო გაერთიანებებში. ნოემბრის ბოლოს საკითხს „უკანონო ბორდერიზაციის შესახებ“, როგორც მას თბილისში უწოდებენ, საქართველოს დელეგაცია დააყენებს კავკასიაში უშიშროების ჟენევის კონსულტაციის მორიგ, 25 რაუნდზე, რომელიც ეწყობა ევროკავშირის, ეუთოს, გაეროს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის მონაწილეობით. ეს შეხვედრები დაიწყო 2008 წლის ომის შემდეგ.

მომხდარზე ოპერატიული რეაგირება განახორციელა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა, რომელმაც მოუწოდა მოსკოვს, „არ აღმართოს ხელოვნური გამყოფი ხაზები ხალხებს შორის“. მისი სიტყვებით, საზღვრები ხელს უშლის ჩვეულებრივი ადამიანური კონტაქტების აღდგენას.

ამას გარდა, თბილისი შეეცდება, გამოიყენოს დიცთან შექმნილი სიტუაცია იმისთვის, რომ კვლავ დააყენოს საკითხი ეუთოს მისიის საქმიანობის აღდგენის შესახებ კონფლიქტის ზონაში. ომის შემდეგ ეუთოს მეთვალყურეთა მუშაობა სამხრეთ ოსეთში შეწყდა, კონფლიქტამდე კი ცხინვალის ხელისუფლება რეგულარულად სდებდა მათ ბრალს არაობიექტურობაში.

18 სექტემბერს საქართველოში თავის სამდღიან ყოფნას დაასრულებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რანკო კრივოკაპიჩი, ვისთანაც თბილისმა წინასწარ განიხილა ეს საკითხი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის სიტყვებით, განიხილება ეუთოს მისიის დაბრუნების რამდენიმე ვარიანტი. ჯერჯერობით ამ საკითხს ბლოკავს რუსეთი, გვითხრა საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა. საქართველოს დიპლომატიურ წრეებიდან ჩვენს ხელთ არსებული წყაროების თანახმად, გადაწყვეტილება ემყარება მისიის სახელწოდებასაც. მაგალითად, სამხრეთი ოსეთი უკვე აღარ დათანხმდება, რომ მის ტერიტორიას ინპექტირებას უწევდნენ ეუთოს მისიის წარმომადგენლები საქართველოში. მაგრამ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ცალკე წარმომადგენლობის გახსნაზე სამხრეთ ოსეთში არ არის თანახმა საქართველო.

**— შედეგად შეიძლება მოინახოს კომპრომისული, ნეიტრალური ვარიანტი სახელწოდებისა, მთავარი ხომ ის არის, რომ იქ იყოს მეტი საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლები ინციდენტებისა და პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად,** —განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ვოლსკიმ.

ევროკავშირის მეთვალყურეებს, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მუშაობენ, არ აქვთ შესვლის უფლება სამხრეთ ოსეთში (ისევე, როგორც აფხაზეთში). ამიტომ თბილისისთვის პრინციპულია ჰყავდეს საერთაშორისო მონიტორინგის წარმომადგენლები შიგნით, რათა გაათანაბროს პოზიცია რუსეთთან ინფორმაციის მიწოდების დროს.

**— ჩვენ რუსეთთან, ოსებთან და აფხაზებთან დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები გვაქვს მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მაგრამ უახლოეს მომავალში რომ იყოს ძვრები უკეთესობისკენ, საჭიროა აქტიური საერთაშორისო მონაწილეობა. მისიის სახელწოდება არ უნდა იყოს პოლიტიკურად ანგაჟირებული,** — თქვა ვოლსკიმ.

ამ დროს სიტუაცია საზღვარზე უახლოეს დღეებში კიდევ უფრო გამწვავებით იმუქრება, ვინაიდან 19 სექტემბერს სამხრეთი ოსეთი კეტავს გამარტივებული საშვების პუნქტებს. ეს მოხდება იმ ღონისძიებათა უსაფრთხოების განხორციელების მიზნით, რომლებიც ეძღვნება სამხრეთ ოსეთში 20 სექტემბრის აღნიშვნის დღეს, როდესაც გამოცხადდა მისი საქართველოდან გამოყოფა 1990 წელს. აკრძალვა 21 სექტემბრამდე გაგრძელდება.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# დედამიწის ზურგზე

### ტაჯიკეთის პრეზიდენტმა პარლამენტში რატიფიკაციისთვის გაგზავნა ხელშეკრულება რუსეთთან სამხედრო ბაზის შესახებ

**ორი ქვეყნის შეთანხმება რუსეთის 201-ე სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ყოფნის სტატუსისა და პირობების შესახებ შეთანხმებისთვის პარლამენტის ქვედა პალატას გადასცა პრეზიდენტმა ემომალი რახმონმა. ვარაუდობენ, რომ ხელშეკრულებას განიხილავენ უახლოეს პერიოდში, პრობლემები კი მის რატიფიკაციასთან დაკავშირებით არ გაჩნდება.**

### მთელს პოლონეთში მაკდონალდსის რესტორნებიდან კლიენტები გამოიყვანეს ბომბის შესახებ სიგნალის გამო

**სამშაბათ საღამოს ქსელის დირექციაში შემოვიდა ტელეფონის ზარი, რომ პოლონეთის ერთ-ერთ რესტორანში ჩადებულია ბომბი. თუ რომელში, არ უთქვამთ, ამიტომ მოუწიათ თითქმის ყველა მათგანის შემოწმება. ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩენილა, პოლიცია აძებს „ხუმარას“ (ასეთი რამ, თურმე, მარტო ჩვენთან როდი ხდება — „სრ“).**

### ავსტრიაში დამთავრდა სისხლიანი დრამა ოთხი აღამიანის მკვლელის სახლის აღყასთან დაკავშირებით: აღმოაჩინეს დამნაშავარი სხეული

**სხეული აღმოაჩინეს იმ სახლის საიდუმლო ოთახში, სადაც ადრე დაიბლოკა თავი დამნაშავემ. პოლიციას მიაჩნია, რომ ცხედარი ეკუთვნის 55 წლის ალოის ჰუბერს, რომელსაც ეძებდნენ ბრაკონიერობის გამო. როდესაც მის დაკავებას ცდილობდნენ, მამაკაცმა მათ აქტიური წინააღმდეგობა გაუწია, მოკლა სამი პოლიციელი და სასწრაფო დახმარების ფელდშერი.**

### „ტრანსპერენსი ინტერნეიშნლის“ ახალი კორუფციული რეიტინგი: რუსეთი თავდაცვისთვის გაწეულ ხარჯებს ტანზანიასა და უგანდაზე უკეთ ვერ აკონტროლებს

**თავდაცვის დარგში საპარლამენტო ზედამხედველობის დონეზე რუსეთის ფედერაცია იმყოფება „მაღალი“ კორუფციული რისკის ქვეყნების რიგში. ყველაზე უკეთ კონტროლი ხორციელდება ოთხ ქვეყანაში. მთლიანად ამ სფეროში კონტროლს თვალყურს ვერ ადევნებს პარლამენტების 85 პროცენტი. კორუფციის მოცულობა ყოველწლიურად 20 მილიარდ დოლარს აღწევს.**

### როდესაც სირიაზე დარტყმის ვადის გადანევას მიაღწია, რუსეთი უკვე აღარ არის მზად დათმობებზე დასავლელი პარტნიორებისთვის

**რუსეთის ფედერაციის დიპლომატები გამოხატავენ უკმაყოფილებას როგორც გაეროს ინსპექტორების მოხსენების, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი პარტნიორების მიერ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტის მომზადების გამო. მისი გენერალური მდივანი პან გი მუნი აღიარებს სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების შემდგომი გამოძიების აუცილებლობას, რის შემდეგაც შედგება საბოლოო დასკვნები და დასახელდება დამნაშავეები. მოსკოვს აღიზიანებს, რომ დასავლეთში ამის გაკეთებას ცდილობენ „ვადამდე“.**

### რუსეთს მიაჩნია, რომ ქიმიური შეტევა დამასკოს მახლობლად შეიძლება პროვოკაცია იყო, განაცხადა გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა

**ჩურკინის სიტყვებით, იმ სამხილთა შორის, რომლებიც მიუთითებენ 21 აგვისტოს მოვლენების პროვოკაციულ ხასიათზე არიან, თურქეთში მაისში დაკავებული სირიელი ბოევიკები, ვისაც აღმოუჩინეს ზარინი, აგრეთვე „სირიისა და თურქეთის ზოგიერთი მოქალაქე, ვინც ცდილობდა შეესყიდა ათი ტონა კომპონენტი ქიმიური იარაღის მომზადებისთვის“. არის სხვა დადასტურებანიც.**

◎ ღვთის კაცი

# „ექვთიმე თაყაიშვილი – 150“

**დიდი** მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად“ სახელდებული, წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის დაბადების 150 წლისთავს მიეძღვნა სქელტანიანი წიგნი-კრებული „ექვთიმე თაყაიშვილი“.

ექვთიმე 1921 წელს მცველად გაჰყვა საზღვარგარეთ გაქცეული მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილ ქართველი ერის ისტორიულ განძს, იქ 25 წელი რუდუნებით უარა და 1945 წელს უკან ჩამოჰყვა სამშობლოში დაბრუნებულ საგანძურს. წიგნში ამ უნიკალური მეცნიერისა და ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მონაკვეთი სათანადოდ არის გაშუქებული. წაიკითხავთ პროფესორ აკაკი სურგულაძის ვრცელ ნარკვევს „ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა“, თვით ექვთიმეს დაწერილ ავტობიოგრაფიას, და ემიგრანტულ ნაშრომებს („დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების გამო“, „აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარი“, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918 წლებში)“, მიმართვას ქართველი ემიგრანტებისადმი, მოგონებებს აკაკი წერეთელზე, გიორგი წერეთელზე, ვაჟა-ფშაველაზე, ეგნატე ნინოშვილზე. დიდი ადგილი ეთმობა მეცნიერის განსჯას „ეროვნული განძეულის თაობაზე“, „მუზეუმის ნივთების შესახებ“, განძეულის გადატანის, საფრანგეთში შენახვისა და დაბრუნების ისტორიას“. სამშობლოში დაბრუნებულ მხცოვან მეცნიერის ლიტერატურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის მოწესრიგებაში წლების განმავლობაში ეხმარებოდა პროფესორი გიორგი ლომთათიძე. ლომთათიძემ ხანგრძლივი ურთიერთობისას ჩაიწერა ბევრი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა მის ცხოვრებაზე, მოღვაწეობასა და ახლობლებზე, მკითხველი ეცნობა გ. ლომთათიძის მიერ ე. თაყაიშვილთან საუბრების (1948 წ. 13 მარტიდან 1952 წლის 8 დეკემბრამდე) ჩანაწერებს.




მრავლისმომცველია მიმოწერა ნიკო მართან, წერილები აკაკი ჩხენკელისადმი, კონსტანტინე კანდელაკისადმი, პეტრე შარიასადმი. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ექვთიმეს მეუღლეს, უერთგულეს დამხმარესა და მეგობარს ნინო პოლტორაცკაიას (იოსებ მეგრელიძე, სოლომონ ხუციშვილი, პაატა ნაცვლიშვილი), ექვთიმეს ღვაწლის შეფასებას (ივანე ჯავახიშვილი, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ჯანაშია, გივი ჟორდანია, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი პაპავა, მიხაკო წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო კეცხოველი, ვახტანგ ბერიძე...).

ექვთიმემ თავისი სამშობლოს ცხოვრებით იცხოვრა, მისი ყოველი დღე გმირობა იყო. ლამაზად წერს ქართლოს კასრაძე:

...ქართულ განძის საკეტური არცვის გააღებინე,
შე უძლურო, გმირთა-გმირო, ამირანო ექვთიმე.
არ გითქვია საბაჟოსთვის — „ერთი შენ და ერთი მე!“
უმდიდრესო, უპოვარო, შე ღმერთკაცო ექვთიმე...
საქართველოს სამსხვერპლოზე დროშად გადაეფინე,
სულიწმინდით მოგზავნილო, ღთაეობრივო ექვთიმე.
რა ვიცოდი, ლექსის ნაცვლად თუ გიწერდი რექვიუმს,
შე საწყალო, შე მოკვდავო, შენ უკვდავო ექვთიმე!..

წიგნის ავტორი და შემდგენელია საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი **ბონდო კობაძე**, რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მარიკა მშვილდაძე**, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი **ემირ ბურჭანაძე**.

წიგნი ერთობ ვრცელია (960 გვ.), უხვად არის ილუსტრირებული უნიკალური ფოტოებით, დაბეჭდილია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე. გამოიცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით.

დაბოლოს საგანგებოდ უნდა ითქვას: ასეთი მასშტაბური წიგნის გამოცემა, მით უფრო ერთი კაცისთვის, დღეს ერთობ რთული (თანხის მოძიება) და შრომატევადი (მასალების შეკრება) საქმეა. ამიტომ ხაზგასმით აღსანიშნავია ბატონ ბონდო კობაძის რუდუნება და ღვაწლი. სხვათა შორის ეს მისი პირველი ასეთი წიგნი როდია, ცოტა ხნის წინათ მანვე გამოსცა მშვენიერი კრებული „დავით კლდიაშვილი“.

**ცნობისთვის:** დღეს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება ექ. თაყაიშვილის საიუბილეო საღამო, სადაც გაწეული შრომისთვის ალბათ სათანადო პატივს მიაგებენ წიგნის ავტორ-შემდგენელს.

სანდრო ალექსიძე

# ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახიდურის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაშავერაზე ნახიდურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 158 400 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახიდურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 21 239 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 123,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი | 4 448 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 19 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 21 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 21 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 21 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ ალიან-ჩალიანი

### პრეზიდენტს არაადეკვატური გამონათქვამების გამო ბოდიშის მოხდისაკენ მოუწოდებენ

**პარლამენტის** ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია პრეზიდენტს მოუწოდებს, დეპუტატ ირინა იმერლიშვილის მისამართით გაკეთებული განცხადების გამო ბოდიში მოიხადოს.

აღნიშნული განცხადება ბესელიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა, სადაც ბოლო დღეების განმავლობაში ქვეყნის პირველი პირის მიერ გაკეთებულ განცხადებებს „განსაკუთრებით უკონტროლო“ უწოდა.

— მესმის, რომ ძალაუფლების დასრულებას მტკივნეულად აღიქვამს, მაგრამ ყოველგვარ ზღვარს სცდება განცხადებები და შეფასებები, რომელსაც ის აკეთებს. არ მგონია, რომ მისეულ საკაშვილს შეუძლია, შეურაცხყოფა მიაყენოს პრემიერ-მინისტრს, როცა მას მნგრეველს უწოდებს და სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებს. ამ შეფასებების ადრესატი ივანი შვილი ვერ იქნება, რომლის ქველმოქმედების წყალობით სხვადასხვა ობიექტებს სსნიდა და ლენტებს ჭრიდა, ორჯერ და სამჯერ. კონკრეტულად ამ პოლემიკაში შეყოლა არ მგონია, რომ გონიერების მაჩვენებელი იყოს, მაგრამ ბოდიშის მოხდას ნამდვილად მოვითხოვდი ჩვენი კოლეგის, ირინა იმერლიშვილის მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო, როცა მას „ქურდ-ბაცაცა“ უწოდა. მან უნდა მოიხადოს ბოდიში და ეს არის მინიმუმი, რაც ამ სიტუაციაში უნდა გააკეთოს, — განაცხადა ბესელიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

### ახალგორის მიმართულებით შეზღუდვები 1 დეკემბრამდე იმოქმედებს

**ოკუპირებული** ახალგორის მიმართულებით ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ შეზღუდვები ნაწილობრივ აამოქმედა. გავრცელებული ინფორმაციით, შეზღუდვები უნდა დაწესებულიყო , როგორც ტვირთების გადატანაზე, ასევე ქართულ სანომრე ნიშნიანი ავტომანქანების მოძრაობაზე.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ამ დროისთვის არსებული მდგომარეობით, ქართულ სახელმწიფო ნომრიანი ავტოტრანსპორტი მსუბუქი მანქანები და სამგზავრო მიკროავტობუსები ოკუპირებულ დაბაში შეუზღუდავად შედიან.

რაც შეეხება სატვირთო მიკროავტობუსებსა და სატვირთო მანქანებს, მათი შესვლა უკვე შეზღუდულია. შეზღუდვები სავარაუდოდ 1 დეკემბრამდე იქნება ძალაში.

ახალგორში მცხოვრებლები ამბობენ, რომ ტვირთებთან დაკავშირებული შეზღუდვები სერიოზულ პრობლემებს შექმნის როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობისთვის და ისინი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას მოუწოდებენ, ასეთი შეზღუდვებისგან თავი შეიკაოს.

### „მოდერნ-ვილა“ „თბილისის პარლამენტს“ ავეჯით უზრუნველყოფს

საქართველოს პარლამენტის აპარატმა თბილისში მდებარე პარლამენტის შენობისთვის ახალი ავეჯის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმა. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულ ტენდერში შპს „მოდერნ-ვილამ“ გაიმარჯვა.

ხელშეკრულების მიხედვით შპს „მოდერნ-ვილა“ პარლამენტს ავეჯით უზრუნველყოფას 1 267 970 ლარად უზრუნველყოფს. „მოდერნ-ვილამ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ასი დღის ვადაში უნდა შეასრულოს.

პარლამენტის აპარატმა 1300 000-ლარიანი ტენდერი სხვადასხვა სახის საოფისე ავეჯის შესაძენად 29 ივლისს გამოაცხადა.

### სარფის საბაჟოზე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

**სარფის** საბაჟო გამშვებ პუნქტზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სგპ „სარფის“ ტერიტორიაზე, თურქეთიდან საქართველოს მოქალაქე პაატა ო. შემოვიდა, რომელსაც ხელბარგით ოქროსა და ვერცხლის არადეკლარირებული საიუველირო ნაკეთობები, საერთო წონით 405,68 გრ. შემოჰქონდა.

საქონლის საბაჟო ღირებულებამ 16072.9 ლარი შეადგინა. საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

ინტერპრესი

◎ ჭიდაობა

# ბუდაპეშტშიც მესამე იყო

**წლეულს** **თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე 19 წლის გორელმა მძიმეწონოსანმა გენო პეტრიაშვილმა მესამე ადგილი დაიკავა. უნგრეთის დედაქალაქში გამართულ მსოფლიოს პირველობაზეც მან ბრინჯაო დაიმსახურა, არადა, ჩინებული სტარტი აიღო: ჯერ 47 წამში აჯობა ინდოელ ჰიტენდერს, ხოლო რუმინელ დანიელ ჩისტოანს ორ წუთში 8 ქულა აართვა. მესამე წრეში ქართველი ფალავანი რუსთა ტიტულოვან ჯილას — ოლიმპიურ, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ჰაჯიმურატ გაცალოვს დაუპირისპირდა.** შეხვედრის დაწყებიდან ნახევარი წუთიც არ იყო გასული, ჩვენებურმა ორი ქულა რომ აართვა ჩოქბჯენში გადაყვანილ ჩრდილოელ მეზობელს. იქვე მეტოქის დატრიალება სცადა, მაგრამ თავად აღმოჩნდა ბეჭებზე და გამოცდილმა მოწინააღმდეგემ ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვა. დამამშვიდებელი წრის გადამწყვეტ შეხვედრაში პეტრიაშვილმა 4 წუთში 10:3 მოუგო ჩინელ ჟივეი დენს და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. მძიმეწონოსანთა ფინალში გაცალოვმა იოლად დაჯაბნა უკრაინის სახელით მოასპარეზე ალენ ზასიეევი.

საგულისხმოა, რომ მადიართა დედაქალაქში რვა წლის წინათ რევაზ მინდორაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა, ამჯერად კი მისი გაწვრთნილი გუნდი მხოლოდ ერთ ბრინჯაოს დასჯერდა. სამწუხაროდ, ევროპის მოქმედი ჩემპიონი დავით მარსაგიშვილი (84), ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60), რომლებისგანაც მედლებს ველოდით, შესაბამისად, მერვედფინალსა და მეოთხედფინალში ჩამოშორდნენ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას.

**გივი გაგუა**

◎ ფეხბურთი

# ქულები კი მოაქვს და...

**კი არის ნათქვამი, სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, მაგრამ თავმოყვარე მწვრთნელი პირიქით იქცევა და დამხვდურის საკუთარ რელსებზე გადმოწყობას ცდილობს.**

**შორეულ წარსულში რომ არ ვიქექოთ, ყოზე მაურინიოს მაგალითი მოვიშველიოთ არგუმენტად. და აი, კიდევ ერთი სპეციალისტის მეორედ დაბადება.**

მტყუნებ „ალიანს არენის“ ბინადრებს — მარათონული სეზონის სტარტზე ენერგიის დასაზოგად ნახევარი ძალით სასურველი შედეგების მიღწევა მომავალ წარმატებათა საწინდრად უნდა იქცეს.

რაც შეეხება ჯგუფური რაუნდის პირველი რაუნდის საერთო სურათს, გასაოცარია, როგორ აკრიფეს ევროპული საკლუბო

საუბარია ხოსეპ გვარდიოლაზე, რომელიც, მართალია, სულ რამდენიმე თვის წინათ შეუდგა ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ტრიუმფატორის — მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცობას, მაგრამ „რეკორდმაისტერს“ უკვე დააწყებინა „ბარსელონას“ ტაქტიკით თამაში.

მოგეხსენებათ, ბავარიული გიგანტი აქამდეც გამოირჩეოდა საქმისადმი პრაგმატული მიდგომით, ხოლო კატალონიელის ხელში ისე დახვწა ბურთის გორება, შეიძლება კაცს მთქნარება დაგაწყებინოს.

არადა, ცსკა-სთან სასტარტო მატჩის შემხედვარე, ვერც გაიფიხბურთის ბობოლებმა ასეთი კონდიციები ადრეულ შემოდგომაზე. ხუმრობა ხომ არაა, 8 შეხვედრაში მეტოქეებმა ერთმანეთს 30 ბურთი გაუტანეს.

**„ა“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“ — „ლევერკუზენი“ 4:2, „სოსიედადი“ — „შახტარი“ 0:2.

**„ბ“ ჯგუფი.** „გალათასარაი“ — „რეალი“ 1:6, „კოპენჰაგენი“ — „იუვენტუსი“ 1:1.

**„გ“ ჯგუფი.** „ბენფიკა“ — „ანდერლეხტი“ 2:0, „ოლიმპიაკოსი“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 1:4.

**„დ“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ — ცსკა 3:0, „პლზენი“ — „სიტი“ 0:3.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ჭადრაკი

# პაიჭაძის დუბლი

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი — „ნონას თასი“, რომელშიც 9 ქვეყნის 154 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ბოლო ტურის წინ ასპარეზობას 7 ქულით საქართველოს ნაკრების წევრი ლევან ფანცულაია ლიდერობდა და გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ბოლო ტურში ასპარეზობის რეიტინგფავორიტ ოლეგ კორნეევს (ესპანეთი) შეუთანხმდა ყაიმზე, რაც საკმარისი აღმოჩნდა ლუკა პაიჭაძისთვის, ნინო ხურციძის დამარცხებით იმდენივე ქულა (7,5) მოეგროვებინა, რამდენიც ფანცულაიამ.** დამატებითი მაჩვენებლები პაიჭაძეს უკეთესი ჰქონდა და ნონას თასიც მან დაისაკუთრა (საგულისხმოა, რომ ლუკამ წლეულს ფოთში ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშებაშიც ყველას აჯობა). 7-7 ქულით მესამე-მეშვიდე ადგილებზე გიგა ყუფარაძე, ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი), მერაბ გაგუნაშვილი, ოლეგ კორნეევი (ესპანეთი) და სალიხ აკარ ალ სალიხი (ერაყი) გავიდნენ.

**ქალებში პირველ-მეხუთე ადგილები ასე განაწილდა:** მაკა ფურცელაძე, ლელა ჯავახიშვილი — 6.5-6.5, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი და ინგა ჭარხალაშვილი — 6-6 ქულა.

**ლაშა დიდია**

◎ კრივი

# სამი „ვერცხლი“ და ოთხი „ბრინჯაო“

**ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ მახაჩყალიდან საქართველოს მეორე ნაკრების (მწვრთნელი — შალვა დუნდუა) წევრები. ისინი ემზადებიან მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელსაც წლეულს 11-27 ოქტომბერს ალმათი (ყაზახეთი) უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრები იქ, სავარაუდოდ, 9 სპორტსმენით იასპარეზებს.** გუნდში მოსახვედრად მძაფრი კონკურენციაა. მახაჩყალის ტურნირის პრიზორებმა ნაკრებში ადგილის დასაბევებლად დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. დაღესტნის დედაქალაქში სამმა ქართველმა ვერცხლის მედალი მოიპოვა — მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს სევერიან ჭილაძემ (თბილისი, 52 კგ) ფრანგ ელი კონკისთან, გიორგი გიორგაძემ (თბილისი, 57 კგ) რუს ვლადისლავ ფედიურინთან და ირაკლი გვენეტაძემ (ქუთაისი, 91) ფრანგ აბულაი დიანთან. ოთხი ჩვენებური — გიორგი კულუმბეგაშვილი (გორი, 56), , გელა აბაშიძე (ბათუმი, 70), გოჩა ბადურაშვილი (თელავი, 75) და რომან თავაძე (ქუთაისი, 81) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ინტერნეტიდან

# კლინსმანების „აღმოჩენილი“ ამერიკა

**ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი იურგენ კლინსმანი უკვე რა ხანია შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. იურგენის ოჯახმა ამერიკაში ცხოვრებას ალღო ჯერ კიდევ წლების წინ აუღო.**

კლინსმანის ცოლი, ყოფილი მოდელი დეიბი კლინსმანი, როდესაც გერმანული და ამერიკული ცხოვრების წესსა და ზოგად დამოკიდებულებებს ადარებს, ამბობს, რომ ამერიკელები, გერმანელებთან შედარებით, ნამდვილი ბავშვები არიან და ცხოვრებაზე ბევრად უფრო მარტივი წარმოდგენები აქვთ.

გარდა ამისა, ამერიკელები ურთერთობებში სექსუალურ მხარეს აშკარად უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე გერმანელები. დეიბი კლინსმანისთვის თურმე ნამდვილი სიურპრიზი ყოფილა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ამერიკელი ქალების უმეტესობას საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაზე საუბრის რცხვენია მაშინ, როდესაც ევროპაში ქალები მსგავს თემებზე ხმამაღლა ლაპარაკობენ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ხსოვნა

# ალექსანდრე ჯაყელი

16 სექტემბერს ქართველ მეცნიერთა რიგებს 86 წლის ასაკში გამოაკლდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ალექსანდრე იოსების ძე ჯაყელი**.

დაიბადა 1927 წლის 25 იანვარს ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანში, საქართველოში ცნობილ ჯაყელთა გვარის ღირსეული წარმომადგენლის იოსების შრომისმოყვარე ოჯახში. ხულოს პედსასწავლებლის შემდეგ, 1948 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ კვატიისა და ქედლების 8-წლიანი სკოლების დირექტორად, პარტიის ხულოს რაიკომის ინსტრუქტორად, კომკავშირის ხულოს რაიკომის პირველ მდივნად, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, იგი მთიანი რაიონის არაერთი პრობლემის გადაჭრის ინიციატორი და მონაწილე იყო.

1961-1962 წლებში ერთდროულად დაამთავრა უმაღლესი პარტიული სკოლა და ასპირანტურა. 1967 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ (ისტორიის მეცნიერებათა პირველი კანდიდატი იყო ხულოს რაიონიდან) ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ორჯერ აირჩია საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგედ. მისი ხელშეწყობით არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გზა გაუკაფა მეცნიერების ლაბირინთებში მოღვაწეობისათვის. თავადაც დაინტერესებული იყო მთიანი რაიონების პრობლემების შესწავლა-გადაჭრის გზების ძიებით. სწორედ მისი სადისერტაციო თემა ეხებოდა სოფლის მეურნეობის განმავლობისათვის პარტიის როლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე. ამ თემას მან 14 ნაშრომი მიუძღვნა, რომლებიც დაბეჭდილია თეზისების სახით სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების შრომებში. გამოიცა ცალკე წიგნადაც.

ალექსანდრე ჯაყელმა 25-მდე შრომა მიუძღვნა პოლიტიკური პარტიების მშენებლობის თემას. ბათუმის პედინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტში) და ბათუმის სამართლის ინსტიტუტში 45 წლის მანძილზე, სხვა მეცნიერებთან ერთად ალექსანდრე იკვლევდა ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, დემოგრაფიის და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. მას არასდროს უღალატია პედაგოგიური და მეცნიერული სინდისისათვის. მისი პედაგოგიური სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ფართოდ ითქვა 1997 წელს დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. მისი დამსახურება აღინიშნა ორდენით, მედლებით და აჭარის უმაღლესი საბჭოს სიგელით. 2007 წლიდან პენსიაში გავიდა.

ალექსანდრემ კარგი ოჯახი შექმნა. თავისი ბედი დაუკავშირა ცნობილი გვარის წარმომადგენელს, პროფესიით ექიმ ქალბატონს, ნადიდე ქიქავას. მათ აღზარდეს ორი შვილი მერაბი და ნატო. ჰყავთ 5 შვილიშვილი.

ალექსანდრე ჯაყელი პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება, ყველგან და ყველაფერში უღალატო კაცი იყო. აღიარებული იყო მოქალაქეობრივი თვისებებით, ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებით, ყველგან სადაც კი მუშაობდა, გამოირჩეოდა ადამიანებისადმი ყურადღებით. ჰქონდა ავტორიტეტი, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ.

ბატონი ალექსანდრეს პიროვნული თვისებები, მისი ხსოვნა დიდხანს გაჰყვება ოჯახის წევრებს, ახლობლებს. ნათესავებს, კოლეგებს, აღზრდილებს.

მშვიდად იძინე სასუფეველში, მსუბუქი იყოს თქვენზე დაყრილი მშობლიური მიწა, ძვირფასო და დაუვიწყარო ალექსანდრე.

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

საქართველოს საინჟინრო აკადემიის საინჟინრო ეკონომიკისა და მენეჯმენტის განყოფილება სამძიმარს უცხადებს ბატონ ევგენი ბარათაშვილს მეუღლის

**ირინა ბაგრატიონის**

გარდაცვალების გამო.

---

◎ ისტორია

# ბიძია სემი და კომპანია

## ქვეყნის სიმბოლო ყოველთვის როდი მოსწონდა მის მოსახლეობას



**ზუსტად 200 წლის წინათ, 1813 წლის 7 სექტემბერს გაზეთში პროვინციული ქალაქის საამაყო სახელით ტროა გაჩნდა ბრაზიანი სტატია: „ეს არასასიამოვნო მეტსახელი, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოიმუშავა, უკვე საყოველთაოდ მისაღები გახდა!“ საქმე ნიუიორკის შტატში იყო, შერქმეული სახელი კი, რის გამოც ასე წუხდნენ ჟურნალისტები, დღეს მსოფლიოსთვისაა ცნობილი. მიესალმეთ ბიძია სემს — ამერიკის შეერთებული შტატების სიმბოლოს.**

**ამგვარი ამბები სხვა ქვეყნებშიც ხდებოდა, რომლებსაც გაუმართლა, შეეძინათ არცთუ მთლად ოფიციალური, სამაგიეროდ ხალხური სიმბოლოები. სხვა საქმეა, რომ ზოგჯერ ეს სიმბოლოები ენათესავებიან შეურაცხმყოფელ მეტსახელებს, როგორებიცაა „ლოთი ვანია“, „ბაყაყი ჟაკი“ ან „მაკარონის მობრაწული ჯოვანი“. მაგრამ ეს ყოველივე უმჯობესია შორს მოვისროლოთ, ჩვენ შევარჩიეთ მაგალითები, როდესაც სიმბოლოები არაა შეურაცხყოფა.**

### რუსული დათვი

**ამ ქვეყნის ლამის ყველაზე ძველი სიმბოლო—ევროპელების აღქმით. ჯერ კიდევ შვედეთის 1539 წლის რუკაზე დათვი გამოსახულია, როგორც რუსეთის სახელმწიფოს ნიშანმდებელი. და ეს რატომ? ავსტრიის ელჩი სიგიზმუნდ ჰერბერტშეინი მოხვდა ამ ქვეყანაში 1526 წლის საშინელი ყინვის დროს, როდესაც დათვები მართლაც თავს ესხმოდნენ აღალებს და სახლებშიც კი იჭრებოდნენ. ელჩის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, მისი „ჩანაწერები მოსკოვზე“ კი ისე პოპულარული, რომ დათვის სახე, რომელიც რუსეთის ქუჩებში დასეირნობდა, მიაწებეს რუსებს, ეტყობა, საბოლოოდ. ბევრს ეს არ მოსწონს, მაგრამ სიმართლის წილი ამაში არის. რუსები, ეს რუსებისავე აზრით, როგორც დათვები, პირველები თავს ესხმიან უკიდურესად იშვიათად. ასეთი კეთილები და ზანტები არიანო. მაგრამ მათ ხელი არ უნდა ახლო, მით უმეტეს არ უნდა გააღვიძო — თორემ ძვირი დაგიჯდებაო.**

### ბიძია სემი

**ამერიკაში 1812 წლის ომი იყო. მაგრამ დაახლოებით ისეთივე შედეგებით, როგორც მაშინ რუსეთში. ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქი ვაშინგტონი აიღეს და გადაწვეს ინგლისელებმა, თუმცა საბოლოო ჯამში მაინც ამერიკელებმა გაიმარჯვეს.** მათ არმიას მიაწოდებდნენ დამარილებულ ხორცს, რომელიც მარკირებული იყო ორი ასოთი US. ესე იგი „იუნაიტედ სტეიტს“ — შეერთებული შტატები. მაგრამ იმის გამო, რომ მომწოდებელს სემიუელს უწოდებდნენ, ჯარისკაცებს შორის დამკვიდრდა კონსერვების სახუმარო სახელწოდება: „ბიძია სემი“. ესე იგი იგივე ორი ასო. არის, რასაკვირველია, სახელწოდების სხვა ვერსიაც, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1961 წელს დასახელებული ვერსია მიიჩნია კანონიერად, ზუსტად ისე, როგორც გაძვალტყავებული, მაგრამ ძლიერი, თხის წვერებიანი ბებერი — მათი აზრით, ასკეტურობისა და ძალის სიმბოლო.

### ჯონი კანუკი

**თუ ვინმეს ეროვნული ნიშანი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს ხასიათის ნიშნები, კანადელებისთვის —ეს პროფესიაა. არსებითად თავად სიტყვა „კანუკი“ ამჟამად ასოციირდება იმასთან, ვინც ტყეში მუშაობს.** ესე იგი, ნატურალურად, „კანადელი ტყის მჭრელი“ თავისი თანმდევი თავისებურებებით: წვერი, უჯრედოვანი პერანგი ან სვიტერი, მხარბეჭიანი, ერთგვარი მუხრუჭოვნობა. თუმცა პირველად კანუკებს მხოლოდ გერმანელ ან ფრანგ კანადელებს უწოდებდნენ. რა მიზეზით — ამაზე თავს იმტვრევენ ადგილობრივი ისტორიკოსების უკვე მერამდენე თაობაა. სავსებით შესაძლებელია, ასე გადაასხვაფერეს სახელწოდება „კანადელები“ თავიანთ ენაზე ალგონკინების ტომის ინდიელებმა.

### გერმანელი მიხელი

**ჰანსები, ფრიცები, ბოშები, ლუდის მყლურწავები, კომბოსტოს გამანადგურებლები — როგორ არ უწოდებდნენ გერმანელებს. თავად კი ისინი რამდენადმე სხვაგვარად ხედავენ თავიანთ თავს: არა საშინელ ქმნილებებად რჩებიან კასკებში, არამედ მშვიდ, მთვლემარე მამაკაცადაც კი სახელად მიხეილი.** მას წარმოსახავენ, როგორც წესი, ღამის პერანგში და ღამისსავე ჩაჩში, რომლის დანიშნულებაც ხასიათის დამთმობლობა და მეტად მშვიდობიანი ობივატელური თვისებებია. ყველაზე საინტერესოა, რომ ოდესღაც გერმანელებს ამაში ბევრი ეთანხმებოდა, მათ შორის ჩვენც, ქართველები.

### ბიჭუნა სრულიკი

**ხდება ხოლმე, რომ სიმბოლო თითქმის სახელმწიფოსთან ერთად ჩნდება. ასე მოხდა ამ სიმპათიურ ბიჭთან დაკავშირებდითაც, რომელსაც სასაცილო სახელი ჰქვია. საერთოდ მთლიანად მისი სახელი ისრაელიკია, და ძნელი მისახვედრი არაა, რომ ის ისრაელის „სახეა“.** გაჩნდა იგი ქვეყანაში 1950-იან წლებში და განასახიერებდა ტრადიციებისა და თანამედროვეობის კავშირურთიერთობას. სანდალიები წარმოშობით ბიბლიური დროიდანაა, პანამა— მშრომელთა გამონაგონია, შარვალი —სამხედრო ყაიდისაა —იმის სიმბოლო, რომ ბიჭი თუნდაც ახლავე მზადაა, ყველაფერი გვერდზე მოისროლოს და თავისი მიაგოს არაბ ხულიგნებს. თუმცა, 2008 წელს სრულიკს ცოტა მოდიფიცირება გაუკეთეს — კიბუცები მოდიდან გამოვიდა და ახლა ის ბეისბოლის ქუდს ატარებს.

### ჯონ ბული

**კიდევ ერთი ანგლოსაქსი, მხოლოდ ხმელ-ხმელი, ამერიკელი ძიასაგან განსხვავებით, ჯანმრთელობას რომ აფრქვევს, უყვარს სმაც, ჭამაც და ჩხუბიც. სხვათა შორის, იგიც დაკავშირებულია ომთან.** ომთან ესპანური მემკვიდრეობისთვის, რომელიც 13 წელი გრძელდებოდა და რომელმაც გამოფიტა ყველა მებრძოლი მხარე. ინგლისელმა მწერლებმა — პუბლიცისტმა ჯონ არბეტნოტმა და სატირიკოსმა ჯონათან სვიფტმა გამოუშვეს პამფლეტების სერია, სადაც შექმნეს გონებაჩლუნგი და ჯიუტი ბრიტანელი მოზვერების სახე. ერთგვარი მოხტუნავეებისა. გმირს, შესაბამისად, ჯონ ბიკი (ხარი) უწოდეს. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, სახე მოეწონათ და ახლა წარმოაჩენს ინგლისელის საუკეთესო თვისებებს: სიმტკიცეს, თავდაჭერილობასა და ლუდისადმი სიყვარულს.

### გალის მამალი

**ვიღაცას სიმბოლოდ დათვი ერგო, ვიღაცას კი — ფრინველი, თანაც ისეთი სახელწოდებით, რომ ჩვენთან შეიძლება შეურაცხყოფადაც კი მიიღონ. აი, ფრანგები კი, პირიქით, ამაყობენ კიდეც.** მათთან მამალი — სიფხიზლის სიმბოლოა. და გაჩნდა იგი სწორედ იმ დროს, როდესაც სიფხიზლე განსაკუთრებულ პატივში იყო: 1791 წლის რევოლუციის მესამე წელს. სხვათა შორის, სიფხიზლის შესახებ მალე დაივიწყეს და დაიწყეს მამლის ასოციირება თავიანთი ერის ძველ სახელწოდებასთან — ლათინურად gallus ნიშნავს გალსაც და მამალსაც. უკვე გვიან, უკანა რიცხვით, ამ სიმბოლოს მიაკერეს ფრანგის „საუკეთესო თვისებების“ განსახიერებაც — საბრძოლო სილაღე და სიფიცხე.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ სხვა გაზეთიდან

# „ჩვენი თაობა ჯიუტია“

**ამ სათაურით და რუბრიკით — „პროფესია — რეჟისორი“ გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ინტერვიუ ალექსანდრ მაიოროვთან. ის მუშაობდა ჩვენთანაც „ქართულ ფილმში“, აგრეთვე „მოსფილმში“. არის ისეთი ლენტების ავტორი, როგორებიცაა „ოქროს თევზები“, „შანსი“, „დაზღვევის აგენტი“, „გაქცევა ქვეყნის დასასრულისკენ“, „ადგილზე გაქრობა“ სერიალიდან „მაროსეიკა, 12“... ასწავლიდა რეჟისურას მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში, გარდაქმნის წლებში კოლეგებთან ერთად ჩამოაყალიბა სტუდია „პარიტეტი“, სადაც რამდენიმე ფილმის პროდიუსერი იყო. მან დაწერა შესანიშნავი სცენარები, რომლებიც აგერ უკვე რამდენი წელია, ელოდებიან ხორცშესხმას. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირაა დაკავშირებული ყოფილი სსრ კავშირის ისტორიასთან...:**

**გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან, რომლებიც საქართველოსაც შეეხება.**

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ გაჩნდა სცენარის „მარად ცოცხალის“ იდეა და რატომ არ დადგმულა იგი დღემდე?**

— ამ სასაცილო, ბრძნულ და მეტად კეთილ სცენარს აქვს უსათუოდ მხატვრული ღირსებანი. მის საფუძველზე გადაღებულმა ფილმმა შეიძლება შეამსუბუქოს დაძაბულობა საზოგადოებაში და ჩამოაყალიბოს აუცილებელი საზოგადოებრივი აზრი... თემა — ლენინის დაკრძალვა. კუმირს მარად ცოცხალი ბელადისგან ქმნიდა მთელი მსოფლიოს ინტერნაციონალური ძმობა. მაგრამ სსრ კავშირის კრახის შემდეგ რუსეთს მარტოდმარტო უწევს გაართვას თავი პრობლემის ნარჩენებს... სცენარი ეს, ასე ვთქვათ, მასალაა მომავალი ფილმისთვის. ამიტომ იგი ჯერ-ჯერობით რეალიზებული არაა, ის მუდამ გაღელვებს, თითქოს უშობელი ნაყოფიაო...

**— თქვენ ამბობთ, რომ სცენარი სასაცილოაო?..**

— რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს ამ თემისთვის, სცენარის ჟანრი — კომედიაა. თუ უფრო ზუსტად ვიტყვით, ტრადიციული ქართული კომედია. მაგრამ წაკითხვის კვალობაზე კომედიური სიტუაციები, რომლებიც მკითხველის სიცილს ან ღიმილს იწვევენ, ქმნიან მომხდარის აბსურდულობის შთაბეჭდილებას, ფინალისთვის კი აბსურდის კომედია ნამდვილ ტრაგიკომედიად იქცევა. სცენარის იდეა — პირველი მცნებაა: არა შეიქმნა კერპი შენი! აქტუალური პრობლემა ყოველთვის და ყველგან...

2004 წლამდე კინოსთვის ფული არ იყო, მოგვიანებით კი დაიწყო რთული პოლიტიკური ურთიერთობანი საქართველოსთან...

დრო მიდის, ლენინი კი როგორც იწვა, ისევე წევს წითელ მოედანზე. ჩემი აზრით, ფილმს ამ სცენარით შეუძლია დაგვეხმაროს არა მხოლოდ დაკრძალვის პრობლემაში, არამედ შეიტანოს წვლილი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა დათბობაში, რომელიც უკვე დაისახა... ამ ცოტა ხნის წინათ კი „მარად ცოცხალი“ წაიკითხა ნიკიტა მიხალკოვმა. „ძალიან კარგი სცენარია!“ — მითხრა და შემომთავაზა, შემეტანა იგი კინოს ფონდში, მხარდაჭერისთვის... სცენარი მოსწონთ პროდიუსერებს, მაგრამ ვიღაცას არ მოვწონვარ მე პირადად...

**— საბჭოთა პერიოდის ქართული კომედია —ესაა „ტირილნარევი სიცილი“ და ხშირად ეს სწორედ „მსუბუქი აბსურდის“ კომედიაა. ეჟენ იონესკუმ ერთხელ თქვა: მოგიხედეთ ირგვლივ —აბსურდი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალობად იქცა. არსებითად, ახლა ეს ყველაზე აქტუალური კინემატოგრაფიაა. აქვს დღევანდელ საქართველოს მიდრეკილება დაინახოს სასაცილო თავის ყოველდღიურობაში?**

— იუმორის გრძნობა ქართველებს არ დაუკარგავთ, აბსურდაც საქართველოში მოიმატა. მაგრამ რა არის გასაოცარი — იქაც შეეყარათ მასობრივი კულტურის ვირუსი, იუმორით წელს ქვემოთ. კომედიებს იქ ტელევიზია ქმნის. საქმე კი ისაა, რომ დსთ-ს ყველა ქვეყანაში უცხოელი მრჩევლების რჩევით პროფესიონალები გაათავისუფლეს — ისინი ბუები არიან, მათ ვეღარ გარდაქმნიო. და დაიქირავეს გამოუცდელი ახალგაზრდობა — მათი მართვა უფრო იოლია, იოლია აიძულო, იოლია გაათავისუფლო.

კინო კი კეთდება მეტად შეზღუდული ოდენობით. ავტორები ძირითადად იკვლევენ სოციალურ პრობლემებს — „ვინაა დამნაშავე და რა გავაკეთოთ?“ ამას წინათ აჩვენეს ლენტი „განუსაზღვრელი“ დანაშაულებების შესახებ საქართველოს ციხეებში. ეს მეტად მკაცრი და პატიოსანი ფილმია პრობლემაზე, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში საა-კაშვილის პარტიის დამარცხებაში. ფილმი კეთდებოდა, როგორც კერძო ინიციატივა, და მით უფრო ღირებულია ეს ფაქტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ გაჯანსაღების გზაზე მდგარი საზოგადოების ზნეობრიობა...

ჩემი აზრით, უნდა დავუბრუნდეთ შემოწმებულ გამოცდილებას. სსრ კავშირში იყო კარგად მოწესრიგებული კინოინდუსტრია. არ იქნებოდა ურიგო, ამ გამოცდილების გამოყენება...

ესაუბრა
**არინა აბროსიმოვა**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ვაუშინდელი ვარსკვლავთმფლობელი

### „სვანეთს არ დაგატბორინებთ, თქვენი სახლ-კარი დატბორეთ!“

— გაისმოდა გუშინ სვანეთში, კერძოდ სოფელ ხაიშში. ხაიშელებმა დაპირება შეასრულეს და ხუდონჰესის წინააღმდეგ მორიგი აქცია გამართეს. აქცია რამდენიმე დღის წინათ იყო დანიშნული. ამ ღონისძიებისთვის ადგილობრივი ხელისუფლება სათანადოდ მოემზადა. ამბობენ, ხაიშში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით იქნა შეყვანილი პოლიცია. სვანების დასარწმუნებლად ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი ავიდა, თუმცა ელოშვილის განცხადებებმა და დაპირებებმა სვანების გული ვერ გაალბო.

გუშინდელმა დღემ აჩვენა, რომ მოსახლეობა ხუდონჰესის აშენების წინაღმდეგია. ივანიშვილი და კალაძე ამბობენ, რომ მოსახლეობის აზრს გაითვალისწინებენ, მაგრამ ჰესს მაინც ააშენებენ.

**„ახალი თაობა“**

### ივანიშვილი მემკვიდრედ უჩა მამაცაშვილს დატოვებს?

**პოლიტოლოგ** ვაჟა ბერიძეს თუ დავუჯერებთ, პრემიერის პოსტზე ივანიშვილის ნათესავი, უჩა მამაცაშვილი განიხილება. იგი მისი აქტივების, ბიზნესის მართვაში მონაწილეობს, გონიერი, ჭკვიანი ადამიანია, მაგრამ არც ესაა პოლტიკური ფიგურა, ამდენად ძნელი წარმოსადგენია ქვეყნის მმართველის ამპლუაში მისი ყოფნა. დასახელებულთა შორის ყველაზე რეალურ კანდიდატად ბერიძეს გიორგი კვირიკაშვილი მიაჩნია. „ამასთან, ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი მაფიქრებინებს, რომ ირაკლი ალასანიას აქვს სერიოზული შანსი, გახდეს პრემიერ-მინისტრი“ — ამბობს ვაჟა ბერიძე.

### ვაჰაბიტური საფრთხე

**ექსპერტი** კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ ვაჰაბიტების მხრიდან პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად სერიოზული მობილიზებაა საჭირო. ხელისუფლება კი, სამწუხაროდ, ამაზე არ ფიქრობს. „ბათუმში დაკავებული პირები ქართველი ვაჰაბიტები არიან, ესაა მთავარი უბედურება. თუმცა წულუკიძე და ბახუნდარიძე კი უარყოფენ ვაჰაბიტობას. ქართველი ორთოდოქსი ისლამისტები, ვაჰაბიტები, სირიაშიც იბრძვიან, ბაშარ ასადის რეჟიმთან დაპირისპირებულ მეამბოხეთა ბანაკში. სულ 15-მდე ვაჰაბიტია საქართველოდან სირიაში, ძირითადად ქისტები და ორი თუ სამი მათგანი დაღუპულია“, — აცხადებს მამუკა არეშიძე.

**„რეზონანსი“**

### რატომ არა აძვთ ინგილოებს ძართული სახელმძღვანელოები?

**ისტორიულ** ჰერეთში (საინგილოში) კანტიკუნტად შემორჩენილი ქართული სკოლები მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების მწვავე უქონლობას განიცდიან. თუ კახის რაიონში, შედარებით ნორმალური მდგომარეობაა, ზაქათალასა და ბელაქნის სოფლებში კატასტროფული ვითარებაა — 2003-2004 წლების შემდეგ, მათ საქართველოს განათლების სამინისტროსგან გეგმიური წიგნები აღარ მიუღიათ. რას მოიტანს ადგილობრივი ხელისუფლების შოვინისტური პოლიტიკა ქართველებისადმი და თბილისის მუდმივი წაყრუება, ამის პროგნოზირება რთული არ არის.

**„ვერსია“**

◎ ინფორმაცია

## პატრულმა მოქალაქე სიკვდილს გადაარჩინა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისში პატრულ-ინსპექტორმა ილია სულაკაძემ 1985 წელს დაბადებული გოდერძი იობიძე გადაარჩინა, რომელიც ალმაშენებლის გამზირზე, რესტორან „რივერ საიდთან„ მდებარე ხიდიდან მდინარე რიონში თვითმკვლელობის მიზნით გადახტა.**

**შსს-ს ინფორმაციით, პოლიციელი დაუყოვნებლივ მივიდა შემთხვევის ადგილზე და მდინარე რიონიდან მოქალაქე ამოიყვანა. ადგილზე გამოცხადდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა.**

**სამინისტროს ინფორმაციით, გოდერძი იობიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე მიმდინარეობს.**

ინტერპრესი

◎ ციცხალი ანეკდოტები

**ორი** სტუდენტი ხვდება ერთმანეთს. ერთი ძალიან უკმაყოფილოა და შარდის სუნით ყარს.

— რა დაგემართა? — ეკითხება მეორე.

— ნაცნობს შევხვდი. ვილაპარაკეთ. მერე მითხრა, ისეთ ანეკდოტს მოგიყვები, სიცილით ჩაიფსამო.

— მერე?

— რა მერე, მართალი უთქვამს.

* * *

**ძელსკამზე** ჩამომჯდარი ორი მოფამფალებული ბებო ერთმანეთს ესაუბრება.

— მე რა მქვია? — ეკითხება ერთი.

მეორე დიდხანს ფიქრობს და მერე უპასუხებს.

— სწრაფად უნდა გითხრა?

* * *

**ლოთს** მორგში გაეღვიძა, ტიტველს, გაყინულს. ტანზე ზეწარი შემოიხვია და გასასვლელისკენ წავიდა.

— დილა მშვიდობისა, ბებო, — ესალმება შიშისგან ენაჩავარდნილ ვახტიორს.

— ღმერთო ჩემო! რა დილა მშვიდობისა, შენ ხომ მორგში ხარ!

— ჰოო... კარგი... მაშინ, გუტენ მორგენ...

* * *

**გოგო** გვიან ღამით ბრუნდება სახლში. ბნელა. ეშინია. როგორც იქნა, სახლს მიუახლოვდა და უცებ ხმა ესმის:

— გოგონი, მოდით, გავეცნოთ ერთმანეთს.

გოგოს ისე ძალიან შეეშინდა, რომ სხვა ვერაფერი მოახერხა და მიაძახა:

— იცოდეთ, ვიყვირებ!

— ყვირილი ოდნავ მოგვიანებით მოგიწევს, ჯერ კი, უბრალოდ, გავიცნოთ ერთმანეთი!

„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24